დოკუმენტი: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ღონისძიებათა შესახებ გვ. 4

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №204-205 (3246) კვირა-ორშაბათი, 1-2 აგვისტო, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

პრეზიდენტის ფოსტიდან

საქართველო-ისრაელი: თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდება

„ჩვენ მუდამ გვახსოვს, რომ თქვენ ცენტრალური როლი შეასრულეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის კარის გაღებაში და შესაძლებლობა მიეცით ებრაელებს დაბრუნებულიყვნენ ისრაელში. ქართული თემი ისრაელში არის არა მარტო დამაკავშირებელი ხიდი, არამედ ბურჯი ისრაელ-საქართველოს ურთიერთობისა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორი ქვეყნის ხალხთა შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების განვითარებაში. იმედი მაქვს, რომ შემდგომში ყველა სფეროში კიდევ უფრო განმტკიცდება და გაიზრდება მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ", სწერს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაკი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და მადლობას უხდის ამ პოსტზე არჩევის გამო გულთბილი მილოცვისათვის.

ის. მე-2 გვ.

პერსპექტივა

„აბრეშუმის გზის" სტრატეგიის 1999 წლის აქტი

აშშ სენატმა ეს კანონი 1999 წლის 30 ივნისს მიიღო

ნაწილი 2. დასკვნები

კონგრესს გამოაქვს შემდეგი დასკვნები:

1. უძველესი აბრეშუმის გზა, რომელიც ერთ დროს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სასიცოცხლო გზას წარმოადგენდა, ახლა კვეთს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის ტერიტორიებს.

2. აბრეშუმის გზის ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ხალხთა შორის ურთიერთთანამშრომლობასა და ისტორიული ურთიერთობების აღდგენას. ეკონომიკური კავშირები ამ ხალხებს შორის არის გარანტია მათი სუვერენიტეტის, დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების წარმატებისა.

3. მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კავშირების განვითარება სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის განამტკიცებს სტაბილურობას ამ რეგიონში, რაც წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური დაქაბულობის ხელსაყრელ სამიზნეს სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან.

4. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის ღია საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარება უზრუნველყოფს დადებით სტიმულს საერთაშორისო კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის, ვაჭრობის განვითარებისათვის და კომერციული ურთიერთდამოკიდებულების სხვა ფორმებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

5. სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ბევრ სახელმწიფოს ჰყავს მუსლიმანური მთავრობა, რომლებიც ახლო კავშირებს ეძებენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რომლებსაც დიპლომატიური და კომერციული ურთიერთობები გააჩნიათ ისრაელთან.

6. სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საკმარისი რაოდენობით მოიპოვება ნავთობი და გაზი იმისათვის, რომ აშშ დამოკიდებული აღარ იყოს სპარსეთის ყურის რეგიონიდან ენერგიის არამდგრად მოწოდებაზე.

7. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო დახმარება მიმართული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად და დემოკრატიის, ღია საბაზრო ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისათვის.

ის. მე-3 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

ვ. ასკურავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობისათვის სახალხო მკურნალი ვლადიმერ (ბიჭიკო) ასკურავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები დანიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის შესახებ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები არიან დემურ ნოზაძე, შუქია აფრიდონიძე, ნიკოლოზ ვახანია და ხათუნა გოგორიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

პრესკონფერენცია

სამინისტრო ამტკიცებს — წაყენებული ბრალდებები არა მარტო საქმეში ჩაუხედაობის, არამედ შეგნებული ცილისწამების შედეგიც არის

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ უკანასკნელ პერიოდში პრესაში ხშირად იბეჭდება ბრალდებების სერია სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბაკურ გულუას მიმართ. ეს ბრალდებები ძირითადად ედპ მთავარი კომიტეტის წევრის, პარლამენტარ რევაზ საყევარიშვილის მიერაა წამოყენებული.

30 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებმა აბსურდული და დილეტანტური უწოდეს ამ ბრალდებებს და აღნიშნეს, ძირითადი არსი ის არის, რომ ეს ინფორმაციები სინამდვილეს ნაკლებად ასახავს, გარდა ამისა, მთელ რიგ გახმაურებულ ფაქტებზე სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ზომები დროულადაა მიღებული, ხოლო ზოგიერთი ფაქტი აშკარად დამახინჯებულია.

თვით ბატონი ბაკურ გულუა, როგორც ჟურნალისტებს გვითხრეს, გადაუდებელი საქმის გამო, პრესკონფერენციას ვერ დაესწრო, ამიტომ ზოგიერთი გაზეთის წარმომადგენლებმა, რომელთაც შეკითხვები პირადად მისთვის ჰქონდათ გამიზნული, დარბაზი დატოვეს.

ახალი ტელევიზიის შექმნის იდეით საბიუჯეტო სახსრების ფლანგვა, სოიოს ზეთი და მასთან დაკავშირებული მაქინაციები, ფალსიფიცირებული ღვინოები, ჰუმანიტარული ბრინჯი და ხორბალი და მრავალი სხვა. აი, არასრული სია ამ ბრალდებებისა. სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა ყველა საკითხზე არგუმენტირებული ინფორმაცია გაეკეთებინა ჟურნალისტებისათვის.

ის. მე-2 გვ.

მკითხველებს

მოგვმართეთ, გვკითხეთ, შემოგვჩივლეთ

ძვირფასო მკითხველო, ალბათ, დღეში ათასი შეკითხვა გებადება, რომლებზეც პასუხის მოძებნაც დამოუკიდებლად გიჭირს, ხელი არ მიგიწვდება, ან უბრალოდ არ იცი, ვის მიმართო პასუხისათვის.

ამ შეკითხვების ნაწილი, ალბათ, საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკის საკითხებს ეხება, ნაწილი — სოციალურ, საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვის, განათლების, საქალაქო ცხოვრების თუ სულაც სპორტის საკითხებს.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ, შემოგვჩივლეთ!

ვეცდებით სწრაფად და ზუსტად გიპასუხოთ გაზეთის საშუალებით, რათა ცოტათი მაინც შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა, მოგიხსნათ პრობლემა.

ისეთ რთულ და სტრესულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ერთმანეთს თუ ხელი არ წავუკარით, მხარი თუ არ შევაშველეთ, უარესად გაგვიჭირდება.

დაგვირეკეთ ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-16-90; 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა" თქვენი გაზეთია!

გამარჯობათ!

საბჭოთა გენერალი და შვიდი მჭლე მროხა

მოგეხსენებათ, ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

საქართველოს ერთიანი კომპარტიის ლიდერმა, ჭალარა გენერალმა (როგორც თვითონ უყვარს თქმა) პანტელეიმონ გიორგაძემ ისეთი რამ დაახეთქა, რომლის მსგავსიც მთელი თავისი სამხედრო-სასაზღვრო-საუშიშროებო და ერთიანკომუნისტური მოღვაწეობის მანძილზე როგორღაც მოახერხა, რომ არ დაეხეთქებინა:

პირდაპირ, გამოკვეთილად და მიუკიბ-მოუკიბავად დაუჭირა მხარი აფხაზ სეპარატისტებს და მთელი ამ ხნის განმავლობაში აფარებული „ედინაია გრუზიას" ნიღაბი ისეთი სისწრაფით ჩამოიხსნა, რომ პარტიელი ამხანაგები სახტად დატოვა.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო თვით ბატონ პანტელეიმონისგანაც კი, რომ მის თანამოსაგრეებს ისღა დარჩათ, ან ყოველივე დააბრალონ ტელემონტაჟს (ამის ენერგიული ცდა უკვე არის), ვითომ, იგრე არ უთქვამსო, ან — ასაკს, ვითომ, დაბერდა და გამოჩერჩეტდაო, — ასეთი „გასამართლებელი" ვერსია „წითელი შვიდეულის" ერთერთმა ანგარისმგასაწევმა წევრმა ბატონმა ავთანდილ მარგიანმა მთელ საქართველოს შესთავაზა გუშინწინ ტელევიზიით.

მესამე ვერსიას მე შემოგთავაზებთ.

ვოლტერმა ბრძანა, ღმერთი რომც არ არსებობდეს, უნდა გამოგვეგონებინაო!

ბატონ პანტელეიმონს გამოჩერჩეტების (ა. მარგიანის შეფასებაა) ნიშანწყალი რომც არ ეტყობოდეს, მაინც გამოჩერჩეტებულად უნდა გამოეცხადებინათ!

ის. მე-2 გვ.

ინფორმაცია

უილიამ კოენი 1 აგვისტოს თბილისს ეწვევა

საქართველოსთვის სამხედრო დახმარების, თანამშრომლობის და პარტნიორობის საკითხები განიხილება აშშ-ის თავდაცვის მინისტრის უილიამ კოენის საქართველოში ვიზიტისას.

უილიამ კოენი აშშ-ის პირველი თავდაცვის მინისტრია, რომელიც საქართველოს ეწვევა. იგი ერთდღიანი ვიზიტით თბილისში 1 აგვისტოს, კვირას ჩამოვა.

კოენი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს აშშ-ის საელჩოში აცნობეს, შეხვედრისას განიხილება საქართველოსთვის ფართომასშტაბიანი დახმარების პროგრამა.

საარჩევნო სიების ფორმირების საკითხი განიხილეს

საარჩევნო სტრატეგიისა და პოლიტიკური ბლოკის ერთიანი სიის ფორმირების საკითხი განიხილეს საარჩევნო ბლოკ „საქართველოს აღორძინების" პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე, გუშინ ბათუმში.

სხდომას ესწრებოდნენ ბლოკის ლიდერი, აღორძინების კავშირის თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი, ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი და პოლიტიკური საბჭოს დამოუკიდებელი წევრი ჯუმბერ პატიაშვილი.

მოსკოვში რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართება

ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კომისიის სახელმწიფოთაშორისო სხდომაზე, რომელიც 2-3 აგვისტოს გაიმართება მოსკოვში, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მოსკოვის შეხვედრაზე ქართულ დელეგაციას უხელმძღვანელებს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, რუსეთის მხარეს — რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ნიკოლაი აკსიონენკო.

სხდომის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს და რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

რობერტ სტურუამ ბერძენი მაყურებელი მოაჯადოვა

საბერძნეთის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლის შექსპირის „კორიოლანუსის" პრემიერა, რომელიც ათენის პრესტიჟულ ამფითეატრ „იროდიონში" გაიმართა ივლისის ბოლოს, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს ათენში საქართველოს საელჩოში.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს ელჩმა საბერძნეთში ალექსანდრე ჩიკვაიძემ, სტურუას „კორიოლანუსს" თითქმის ოთხი ათასი ბერძენი მაყურებელი დაესწრო.

„ბერძნული თეატრალური საზოგადოება აღფრთოვანებულია ქართველი რეჟისორის ნიჭით", „კორიოლანუსმა" მოაჯადოვა მაყურებელი", „სტურუასეული შექსპირის ტრიუმფი ათენში" — ამგვარი ციტატებით შეამკო პრემიერა ბერძნულმა პრესამ.

მალე თბილისს ახალი ხიდი შეემატება

გლდანი-მუხიანისა და დიდი დიღმის დამაკავშირებელი ხიდი თბილისობის დღესასწაულზე გაიხსნება, — აცნობა პრაიმ-ნიუსს თბილისის საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსმა ალეკო კურცხალიამ.

მისი თქმით, ახალი ორსართულიანი ხიდის მშენებლობა შარშან დაიწყო. ზედა სართული იქნება დედაქალაქიდან გასასვლელი, ქვედა კი გლდანს დიდ დიღომთან დააკავშირებს.

კურცხალიას ინფორმაციით, ახალი ხიდის მშენებლობისათვის საჭირო თანხებს, 2 მილიონამდე ლარს თბილისის მერია გაიღებს.

თბილისობისას ახალ ხიდზე გაივლის, აგრეთვე, ქალაქის ამ უდიდესი რაიონების შემაერთებელი ტროლეიბუსი.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

> ბოლო ათი წლის განმავლობაში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პოლიტიკური დემოკრატიის მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები შეინიშნება. მაგრამ არ არის გარანტია, რომ პოლიტიკური პროცესები უკუღმა არ დატრიალდება.

დღის თემა

ეძლევა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ადამიანის რესურსების გამოყენებას

გაერო, 30 ივლისი. (რია). რუსეთისა და ყოფილი სსრ კავშირის სხვა ქვეყნებში აშკარად გამოიკვეთა ადამიანის რესურსების ძალზე ღრმა კრიზისი, მიაჩნიათ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მომზადებული მოხსენების ავტორებს, რომელიც ეძღვნება 1999 წელს გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ადამიანის რესურსების განვითარებას.

ბოლო წლების გარდამავალმა პერიოდმა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობას მოუტანა სიღატაკის, დანაშაულობის ზრდა, დაავადებათა გავრცელება, სიძუნწით მიზეზი გახშირება, აღნიშნავენ ავტორები. განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა ამან ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცებზე, რომლებიც უფრო არაჯანსაღ ცხოვრებას ეწევიან, რის შედეგადაც შემცირდა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ის. მე-2 გვ.

გვწერენ

ჩვენ ღირსება წართმეული არა გვაქვს

გაცნობებთ, რომ ოზურგეთის რაიონის ომის ვეტერანები და პენსიონერები შეწუხებული ვართ პრესის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის გამო, თითქოს ჩვენს რაიონში მოხდა პენსიონერების მოსყიდვა პოლიტიკური მიზნებისათვის, რაც აბსურდი გახლავთ. მთელი ჩვენი შრომითი ენერგია მოვახმარეთ ქვეყნის ინტერესებს, ღირსეულად ვიბრძოდით სამშობლოს დასაცავად, ყველა არჩევნებში მხარში ვედექით ხელისუფლებას, და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტს, რომლისადმი გამოვხატავდით სრულ თანადგომას. ამ რწმენით ვცხოვრობთ დღესაც, და მიუხედავად ჩვენი უმძიმესი მდგომარეობისა, მაინც შეგნებით ვუდგებით ქვეყნის საერთო მდგომარეობას, თუმცა, გავრცელებული ჭორი და პროკურატურის მუშაკთა შემაწუხებელი დამოკიდებულება ჩვენს აღშფოთებას იწვევს. ასეთი რამ ჩვენ არ დაგვიმსახურებია არც თქვენგან და არც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისაგან. ჩვენ ბრალს გვდებენ, თითქოს 9 მაისის გამარჯვების დღესასწაულზე მოსყიდვის მიზნით აგვიღეთ ფულადი დახმარება, რაც

ის. მე-2 გვ.

დედაქალაქი

იქნებ ახლა მაინც მიხედონ

თბილისი თანდათან იბრუნებს თავის ტრადიციულ იერს. ეს ფაქტია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ბაზრობების პრობლემა, რომლებზეც ამდენი დაიწერა და ასე აწუხებს მოქალაქეებს, ვერა და ვერ გადაიჭრა. დღე არ გავა, სპონტანურად გაჩენილმა ბაზრობებმა ახალი და ახალი ტერიტორიები არ მიიტაცოს.

ის. მე-2 გვ.

უკანასკნელ საათს

ბუშინ მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა განაცხადა, რომ პოლიტიკური ბლოკები — მისი „ოტეჩესტვო" და მინტიმერ შაიმიევის „ვსია როსია" არჩევნების წინ ერთიანდებიან.

ბუშინ ცნობილი გახდა, რომ მერილენდის კანონის დარღვევის ბრალდება წარუდგინეს ლინდა ტრიპს, რომელმაც მაგნიტოფონზე უნებართვოდ ჩაიწერა მონიკა ლევინსკის ლაპარაკი ბილ კლინტონთან მისი ინტიმური ურთიერთობის შესახებ და შემდეგ გადასცა „ნიუსიკოვის" ჟურნალისტებსა და დამოუკიდებელ პროკურორ სტარს.

ბუშინ კოლუმბიის ქალაქ მედელინში 100 კილოგრამის ტროტილის ეკვივალენტური აფეთქების შედეგად დაინგრა 10 სახლი, მაშველებმა ჯერჯერობით 10 ადამიანის გვამი აღმოაჩინეს. 100 კაცი დაჭრილია.

ამბობენ, რომ ეს ტერაქტი მარქსისტ-ბოევიკების მოწყობილია.

ღიმილის საკვირაო დოზა

მკითხავი:

— ქალბატონო, თქვენს ქმარს სამიშროება ელის. მალე თქვენ დაქვრივდებით.

— ეგ ვიცი. თქვენ ის მითხარით, გამამართლებენ თუ არა?

* * *

ჩუქჩამ სიკვდილის წინ დაიბარა, ოკეანეში დამასაფლავეთო. ჩუქჩას ორივე შვილი დაიღრჩო საფლავის გათხრისას.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მათ პასუხი უნდა აგონ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ბარბაროსული დანაშაულის გამო

საერთაშორისო კონფერენციის „გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა აფხაზეთში (საქართველო) — აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი" მონაწილეთა მიმართვა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი

თითქმის 7 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ ისტორიულ კუთხეში — აფხაზეთში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს ასიათასობით უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანი ემსხვერპლა.

აფხაზმა სეპარატისტებმა რუსეთის ანტიდემოკრატიული, რეაქციული და პოლიტიკური სამხედრო ძალების დახმარებითა და მონაწილეობით განახორციელეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება, რომელსაც ქვეყნის მთლიანობის დარღვევა, საქართველოს განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის ოკუპაცია, სეპარატისტთა დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბება და ქართველთა ეთნიკური წმენდა მოჰყვა.

ის. მე-3 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№204-205. კვირა-ორშაბათი. 1-2 აგვისტო. 1999 წელი.

პრეზიდენტის ფოსტიდან

საქართველო-ისრაელი: თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდება

(პირველი გვერდიდან)

„ისრაელის ხალხი მოითხოვდა აღორძინებას — პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნას — და მე მადლობელი ვარ მათ მიერ ჩემდამი გამოცხადებული ნდობისათვის. ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე, როდესაც ჩვენ ამაყად მივუძღვებით ისრაელის სახელმწიფოს 21-ე საუკუნისაკენ, კარგად გვაქვს გაცნობიერებული ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანები მთელი რეგიონის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად. მე და ჩემმა მთავრობამ მივიღეთ აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის მემკვიდრეობა. დარწმუნებული ვარ, რომ კეთილი ნებითა და შეუპოვრობით ჩვენ შევძლებთ მოვიპოვოთ საიმედო და ხანგრძლივი მშვიდობა, რომელიც შუა აღმოსავლეთში ურთიერთთანამშრომლობისა და აყვავების ახალ ეპოქაში შევა", ნათქვამია ეჰუდ ბარაქის წერილში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

გამარჯობათ!

საბჭოთა გენერალი და შვიდი მჭლე ძროხა

(პირველი გვერდიდან)

დღეს ბატონი პანტელეიმონი მხოლოდ ამ სოუსით არის მისაღები!

იმიტომ, რომ წინ არჩევნებია: ერთიანი კომპარტია დანარჩენ კომპარტიებს ერთიანი ბლოკით გამოსვლაზე ეთათბირება, ბატონი პანტელეიმონი კი დღეს ამ შესაძლო საარჩევნო ერთობის (და, იქნებ.. საერთოდ გაერთიანების) მხოლოდ ხელისშემშლელი შეიძლება იყოს, იმ ყველაფრის გამო, რაზე ლაპარაკიც არ ღირს, იმდენად ცნობილია.

ამას მხოლოდ მისი თანაპარტიელები როდი გრძნობენ.

ამდენად, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ამხანაგ პანტელეიმონს 90-იანი წლების საქართველოს კომუნისტური მოძრაობისთვის იმაზე დიდი სიკეთე არ გაუკეთებია, რაც თავისი სიჩერჩეტით (ა. მარგიანის შეფასებაა) გაუკეთა.

პარტია, სადაც სამართალია, ალბათ, იძულებული იქნება თავი დაიზღვიოს და შეელიოს დღევანდელ ლიდერს.

ამით ის მხოლოდ მოიგებს.

ყოველ შემთხვევაში, აშკარად ასე ფიქრობს „წითელი შვიდეულის" წევრთა დიდი ნაწილი.

მკერდზე წითელბაფთიანი საბჭოთა გენერლისგან, რომლის უკანაც რეალურად მოიაზრებოდა საკმაოდ მრისხანე ძალა (კომპარტიაზე არ არის ლაპარაკი) და აქამდე ჯარისკაცური უცერემონიობით აწვებოდა ხელისუფლებას, დღეს, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ერთი მართლაც გაოგნებული, დაღლილი ბერიკაციღა დარჩა, რომელსაც ისედაც ბევრი აქვს თავისი პირადი საფიქრალი.

მავრი უნდა წავიდეს!

მავრის პოლიტიკური არენიდან წასვლა პირდაპირ შვება იქნება მისი მეგობარი წითელი დემოკრატებისთვის — „წითელ შვიდეულად" ცნობილი სახალხო-პატრიოტული მოძრაობის აქტივის წევრთათვის.

ბიბლია გვამცნობს, ეგვიპტის ფარაონმა ერთხელ ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, სიზმარში შვიდი მსუქანი და შვიდი მჭლე ძროხა ვნახე და, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდესო. იოსებ მშვენიერმა აუხსნა, იმ შვიდი მჭლე ძროხის მდინარიდან ამოსვლას მთელი ნილოსის ნიანგების ამოსვლა რომ ჯობდა. სამაგიეროდ, იქვე მზა თეზისები შესთავაზა, როგორც უნდა მოევლოთ ამ საქმისთვის.

იოსებ მშვენიერი უკვე კაი 40 საუკუნეა პატრიარქ აბრაამის წიაღ არის მიძინებული. მე კი სხვას ვერავის ვხედავ, შვიდი მჭლე ძროხის, უკაცრავად, „წითელი შვიდეულის" რქებში თოკის ჩაბმის საიდუმლო გვამცნოს.

არადა, რომ მიუშვა, კოჭებში ეტყობა, სიზმარი განმეორდება: შვიდი მჭლე შვიდ მსუქანს გადაძოვს.

იოსებ, აუუ!

მორიგე რედაქტორი.

პარტიებსა და მოძრაობებში

წითელი დემოკრატები პანტელეიმონ გიორგაძეს შეჩვენებას უპირებენ!

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე დიდ ხათაბალაში გაება, როცა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. მეორე დღესვე, ანუ გუშინწინ საკუთარ ოფისში შეიკრიბა სახალხო-პატრიოტული მოძრაობის აქტივი, რომელზეც ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერის ამ განცხადებაზე იმსჯელეს. გვესაუბრება ამ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ავთანდილ მარზიანი, რომელმაც ამხანაგ პანტელეიმონის განცხადებას პირველსავე დღეს გაუკეთა მკაცრი კომენტარი.

— თქვენი პოზიცია ამ საკითხისადმი ხომ არ შერბილებულა?

— პირიქით, დღეს სახალხო-პატრიოტულ კავშირში შემავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერთა საბჭომ გადაწყვიტა, შექმნას კომისია სტალინის საზოგადოების პრეზიდენტის ევგენი ჯუღაშვილის, აფხაზეთიდან დევნილთა ლიგის ხელმძღვანელის ბორის კაკუბავას და ერთიანი კომუნისტური პარტიის ცეკას მდივნის ნოდარ ბუჩუკურის შემადგენლობით. ეს კომისია უკვე სატრედიაშია, სადაც პანტელეიმონ გიორგაძეს შეხვდება. პანტელეიმონმა გამოაცხადა, ასეთი განცხადება მე არ გამიკეთებია, ეს სატელევიზიო მონტაჟის ბრალიაო. მაგრამ ასეა თუ ისე, ამის გაფიქრების საბაბი პანტელეიმონს არ უნდა მიეცა. მისი საქმე სულაც არ იყო აფხაზეთის თემაზე ინტერვიუების მიცემა. აფხაზეთის თემას ჩვენ ჯერ ვერ ვეხებით, რადგან შესაბამისი ძალა არ გვაქვს. სახალხო-პატრიოტულ კავშირს საქართველოს გამთლიანების დიდი პროგრამა გვაქვს, მაგრამ მისი რეალიზება მაშინ მოხდება, როცა ხალხი ნდობის მანდატს მოგვცემს.

— რა ზომების მიღებას აპირებთ პანტელეიმონ გიორგაძის მიმართ?

— პანტელეიმონს ორგანიზაციულ-პოლიტიკური ხასიათის მკაცრ სასჯელს გამოვუტანთ. თუმცა, მარტო ამას არ დავჯერდებით. ეს იქნება საყოველთაო-სახალხო გაკიცხვა. მან საკუთარ თავს სამ[illegible] ლაქა დაამჩნია, თავისი განცხადებით მან მთელი საქართველო შესძრა. ამისთანებს ჩვენ შევაჩვენებთ.

— პანტელეიმონ გიორგაძის შეჩვენების შემდეგ როგორი ურთიერთობა გექნებათ მის ვაჟთან — ძებნილ იგორ გიორგაძესთან, რომელიც, სხვათა შორის, თქვენი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრება?

— არავითარი ლიდერი არ არის! ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ იგორი ჩვენი ლიდერია. ვიცნობ იმ დროიდან, როცა ერთ მთავრობაში ვმუშაობდით და მაშინ ვითომ საქართველოს უსაფრთხოებას იცავდა.

— დღეს საქართველოში სამი კომუნისტური პარტია მოქმედებს: ერთი — პანტელეიმონ გიორგაძის მეთაურობით, მეორე — ივანე წიკლაურის ხელმძღვანელობით, ხოლო მესამეს სათავეში შალვა ბერიანიძე უდგას. პანტელეიმონ გიორგაძის ხელმძღვანელის პოსტიდან გადაყენებით (თუ ეს ასე მოხდა) ხომ არ არის მოსალოდნელი კომუნისტების სამივე განშტოების გაერთიანება? ცნობილია, რომ პანტელეიმონ გიორგაძე დანარჩენ ორთან პიროვნულად არის დაპირისპირებული.

— არა, საქართველოში არავითარი სამი კომუნისტური პარტია არ არის. საქართველოში, უბრალოდ, სამი მიმართულებაა, თორემ კომუნისტური პარტია ერთია, რომლის გაერთიანებას ხელს უშლიან ანტიქართული ძალები.

ნათქვამია, — მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ. ყველა, ალბათ, ცოტათი მაინც დამნაშავე ვართ, პანტელეიმონს რომ ასეთი განცხადების გაკეთების საშუალება მიეცა. ამას ყველაფერს ორ დღეში გავარკვევთ. შემდეგ კი მთელ სამშობლოს, ხალხს სრულ ინფორმაციას მივაწვდით.

ესაუბრა ბეჟა ჭედია.

ჩვენი ბავშვების ნამუშევრები პარიზში გაიგზავნება

ქართველი ბავშვების ნამუშევრები წარმოდგენილი იქნება ფრესკების პირველ მსოფლიო კონკურსზე, რომელიც პარიზში დეკემბერში გაიმართება, — აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს მრჩეველმა ლია ბუაძემ.

კონკურსისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში 8-12 წლის ასაკის ბავშვთა 2-2 ნამუშევარი შეირჩა.

ბუაძის თქმით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოუსაფარი ბავშვების დახმარების მიზნით, კონკურსის ჟიურის მიერ შერჩეული თითო ნამუშევარი ნიუ-იორკის სოთბის აუქციონზე გაიყიდება.

ნუცუბიძის პლატოზე ახალი რეზერვუარი შენდება

უნიკალური კონსტრუქციის სასმელი წყლის ახალი რეზერვუარის ამოქმედების შემდეგ ნუცუბიძის პლატოს მოსახლეობას სასმელი წყალი 24 საათის განმავლობაში მიეწოდება, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს მერიის პრესსამსახურში.

რეზერვუარის მშენებლობა, რომლის მსგავსი თბილისის წყალმომარაგების სისტემაში არ არსებობს, ოქტომბერში დასრულდება.

ქალაქის მერიამ რეზერვუარის მშენებლობისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტში 1 500 000 ლარი გამოყო.

რეზერვუარის ამოქმედების შემდეგ წყლის მიწოდება გაუმჯობესდება საბურთალოს, ვაკის და მთაწმინდის რაიონების მოსახლეობას.

რუსთავსა და ათ ქალაქში

მსოფლიო ბანკი რუსთავის სასამართლოს ახალი შენობის ასაშენებლად 500 ათას დოლარს გამოყოფს, — აცნობა პრაიმ-ნიუსს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა მერაბ ახობაძემ. მისი ინფორმაციით, სასამართლოს ახალი შენობები რუსთავის გარდა ქვეყნის კიდევ 10 ქალაქში აშენდება, რისთვისაც მსოფლიო ბანკი 5 მილიონ დოლარს გამოყოფს.

სულ მსოფლიო ბანკს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ხელშეწყობისათვის 15 მილიონი დოლარის გამოყოფა აქვს დაგეგმილი.

არჩევნების წინ

საარჩევნო ბლოკის — „საქართველოს აღორძინების" პოლიტსაბჭოს შაბათის სხდომაზე არ განხილულა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამ ბლოკის ლიდერის ასლან აბაშიძის შესაძლო მონაწილეობის საკითხი, — განუცხადა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია აღორძინების ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ.

მისი ინფორმაციით, პოლიტსაბჭოს სხდომამ ამჯერად რაიონული და რეგიონული საარჩევნო შტაბების შემადგენლობა და მაჟორიტარი დეპუტატების კრიტერიუმები დაამტკიცა.

გოგიტიძის განცხადებით, საარჩევნო ბლოკს საქართველოს 30 რაიონში მაჟორიტართა კანდიდატები უკვე დამტკიცებული აქვს. თუმცა, ბლოკის მიერ დამტკიცებული კანდიდატების სია ბათუმის პოლიტიკურ ალიანსში შემავალ სახალხო პარტიასთან უნდა შეთანხმდეს.

წინასწარი მონაცემებით, მაჟორიტარი კანდიდატები იქნებიან: ქუთაისში — აკაკი ასათიანი, ზუგდიდში — ტენგიზ ჯგუშია, მესტიაში — დავით კობერიძე, ვანში — ბეჟან ხურციძე, ტყიბულში — ვახტანგ რაზმაძე.

ინფორმაციები მოამზადა პრაიმ-ნიუსმა.

დღის თემა

ეძღვნება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ადამიანის რესურსების გამოყენებას

(პირველი გვერდიდან)

ამ მოვლენას უამრავი და რთული მიზეზი აქვს, მაგრამ ფაქტორთა შორის ავტორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ იმატა თვითმკვლელობათა რიცხვმა, გაუარესდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაც და უფრო ხშირად ვლინდება ისეთი ქცევა, რომელიც ექსპერტების კვალიფიკაციით არის „თვითმოსპობაზე ორიენტირება".

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებში პოლიტიკური დემოკრატიის მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები შეინიშნება. მაგრამ არ არის გარანტია, რომ პოლიტიკური პროცესები უკუღმა არ დატრიალდება. ფართოდ გავრცელდა სიღატაკე და გაღრმავდა უფსკრული მდიდრებსა და ღატაკებს შორის, რაც ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში საფრთხეს უქმნის უშიშროებას.

კორუფცია შედეგების მიღწევის ჩვეული საშუალება გახდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, აღნიშნულია შემდეგ მოხსენებაში. შემოსავლის ერთადერთი წყარო კი ბევრისათვის „შავი ბაზარია".

„თუ გვინდა, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა წარმატებას მიაღწიონ 21-ე საუკუნეში, სასწრაფოდ უნდა მივმართოთ მთელი ძალები გარდამავალი პერიოდის მძიმე სოციალური შედეგების და უსამართლობის აღმოფხვრისათვის, — წერს მოხსენების წინასიტყვაობაში გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ რეგიონული ბიუროს დირექტორი ანტონ კრუიდერინკი, — კერძო მოხმარებაზე ორიენტირებული პოლიტიკიდან აუცილებლად უნდა გადავიდეთ ადამიანებში, ადამიანის რესურსებში ინვესტიციებზე". „საბაზრო მექანიზმებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ თანასწორობას".

გვწერენ

ჩვენ ღირსება წართმეული არა გვაქვს

(პირველი გვერდიდან)

გვაყენებს შეურაცხყოფას და ღირსებამელახულ ადამიანებად გვაქცევს. შესაძლოა, ჩვენ ფინანსურად მართლაც გვიჭირდეს, მაგრამ დარწმუნებული იყავით იმაში, რომ ჯერჯერობით ღირსება წართმეული არ გვაქვს და ვერც ვერავინ გვაკადრებს ფულის შემოთავაზებას, ვითომდა არჩევნებში ხმის მიცემის სანაცვლოდ. ნუთუ ეს დავიმსახურეთ ომგადახდილმა და ჭირგამოვლილმა ადამიანებმა? ამით ხომ უგუნურნი, უპირველესად ჩვენი პრეზიდენტის ავტორიტეტს აყენებენ ზიანს და, ამასთანავე, ყველა ვეტერანსა და პენსიონერს უკარგავენ ხვალინდელი დღის უკანასკნელ იმედს.

იმედი გვაქვს, რომ უყურადღებოდ არ დატოვებენ ომის ვეტერანთა და პენსიონერთა სახელის ასეთ შეურაცხყოფას.

პატივისცემით, ოზურგეთის რაიონის ომის ვეტერანთა და პენსიონერთა სახელით: რევაზ სალუქვაძე, გურიის მხარის ვეტერანთა პარტიის თავმჯდომარე; ალექსანდრე ბოლქვაძე, ოზურგეთის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე; ალექსანდრე ბოზიძე, ომის ვეტერანი; ბიჭი მამალაძე, პენსიონერი; ვლადიმერ ჯინჭარაძე, ომის ვეტერანი და სხვები, სულ 407 ხელმოწერა.

დედაქალაქი

იქნებ ახლა მაინც მიხედონ

(პირველი გვერდიდან)

ზოგიერთი ალბათ შეგნებულადაც კი უწყობს ხელს მისი იერსახის ამ დამახინჯებას. აბა სხვა რით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი — დიდუბის რაიონი დღეს ლამის მთლიანად ბაზრობად რომ ვაქციეთ.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეგრეთწოდებული „ელიავას ბაზრობით" დღითიდღე რომ უარესდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსის (ხომარაულის ქუჩა №25) მიმდებარე ტერიტორია, ესეც ხომ ფაქტია. ჯერ გაზონები გადააქციეს ნაგავსაყრელად, შემდეგ წლობით ნალოლიავებ ნაძვნარში სამშენებლო მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ბითუმად მოვაჭრეებმა დაიკავეს ადგილი.

ამ ბოლო დროს მოვაჭრეები ისე გათავხედდნენ, რომ მასპინძლებს საგაზეთო კორპუსთან მისასვლელი გზაც კი აღარ დაუტოვეს. მძიმეწონიანი სატვირთო ავტომანქანები შენობასაც მოურიდებლად აზიანებენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამომცემლობის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ამ სამიოდე წლის წინათ მიმართა ქალაქის საგზაო პოლიციას. საქმის კურსში ჩააყენეს ქალაქის ხელმძღვანელობა. მაგრამ ყველა ეს მცდელობა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ყოველივე ამის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ქალაქის ამჟამინდელი ხელისუფლება ჩვენს ამ გამოსვლას, იმედია, უყურადღებოდ არ დატოვებს.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

პრესკონფერენცია

(პირველი გვერდიდან)

— ტვ-7-ის შესაქმნელად საბიუჯეტო სახსრებიდან ერთი თეთრიც არ გახარჯულა, — განმარტავს ტელევიზიის შესახებ ბრალდებას აგრარული რეფორმების დეპარტამენტის უფროსი ზურაბ გორდეზიანი, რაც შეეხება საკითხის არსს, ეს ამბავი ასე დაიწყო.

ევროკომისიის მოთხოვნით აგრარული რეფორმების პროპაგანდისათვის აუცილებლად იქნა მიჩნეული საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურის შექმნა და, სათანადო ბრძანებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა სამინისტროს მონაწილეობა შპს აგროინფორმის დაფუძნებაში, ხოლო წილი განისაზღვრა ქონებით 6520 ლარი, ანუ 51 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული სამსახურის შექმნაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე საქართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტმა და კერძო სააქციო საზოგადოება „ინფორმატიკამ". „აგროინფორმის" წილი იყო 75 პროცენტი და არა 51, როგორც ეს ბრალდებაშია აღნიშნული.

რაც შეეხება ტვ-7-ისათვის 130 ათასი ლარის გადაცემას, იგი გამოიყო ევროკომისიის მოთხოვნით, მიმდინარე რეფორმების საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის, ევროკომისიის საპარტნიორო ფონდის საბიუჯეტო ნაწილიდან და არა საქართველოს ბიუჯეტიდან, როგორც ამას ბატონი საყვარელიძე ამტკიცებს. ეს თანხა ევროკომისიის წარმომადგენელთან შეთანხმებით, გადაეცა შპს „აგროინფორმს", სადაც სახელმწიფოს წილი 75 პროცენტს შეადგენდა. სამწუხაროდ, ტვ-7-მა ხელშეკრულების პირობები დაარღვია, რაც სამინისტრომ 1998 წლის 19 მარტის №24-მ ბრძანებით დააფიქსირა და აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღეს. ამის გამო, 1999 წლის 6 აპრილს შპს „აგროინფორმმა" საქმე აღძრა ვაკის რაიონის სასამართლოში, რომელიც შემდგომ დიდუბის რაიონის სასამართლოს გადაეგზავნა, ამჟამად საქმე განხილვის პროცესშია.

სამინისტროს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყოველად უსაფუძვლოა ბრალდება იმის შესახებ, თითქოს ტვ-7-ს 130 000 ლარის ნაცვლად 1 მლნ ლარი უნდა მიეღო, რამაც მათი გაკოტრება გამოიწვია. ჟურნალისტებს შესაძლებლობა მოგვეცა, გავცნობოდით ევროკომისიიდან მიღებულ წერილს ამ საკითხზე და დავრწმუნებულიყავით სიმართლეში.

სურსათის დეპარტამენტის უფროსი გივი გელენიძე განმარტებას იძლევა ე. წ. ამერიკიდან შემოტანილი ზეთის თაობაზე. აი რა თქვა მან.

— აშშ-დან საერთაშორისო პროგრამით საქართველოში 30-წლიანი სასურსათო კრედიტით შემოტანილი იქნა სოიის ზეთი. აღნიშნული ტვირთის ქალაქ ფოთის ნავსადგურში მიღებაზე, ტრანსპორტირებაზე და საწყობებში მოთავსებაზე დანახარჯმა 153,5 ათასი დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა შეადგინა (345 ათასი ლარი). ეს ხარჯი გაიღო ტენდერში გამარჯვებულმა სააქციო საზოგადოება „მერკური-92"-მა, რაც იყო კრიტერიუმი მისი ტენდერში გამარჯვებისა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 29 ნოემბრის დავალების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება პირველ ეტაპზე მომხდარიყო 500 ტონა სოიის ზეთის მონეტიზაცია და ამონაგები თანხებით დაფარულიყო პროდუქტის ქ. ფოთის ნავსადგურში მიღებაზე, ტრანსპორტირებაზე, შენახვის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, რაც განხორციელდა კიდეც.

სულ პირველ ეტაპზე ამოგებული იქნა 640,7 ათასი ლარი, რომელიც მოხმარებული იქნა პრეზიდენტის დავალების შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, დღეისათვის რეალიზებულია 1000 ტონაზე მეტი და სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებში შეტანილია ერთ მილიონ ლარზე მეტი თანხა.

რაც შეეხება ძვირადღირებული სოიის ზეთის საქართველოში შემოტანის აუცილებლობას, იგი გამართლებულია — კრედიტი 30-წლიანია და შეღავათიანია.

მეორეს მხრივ, არსებული ზეთის მარაგის გამოყენებით საქართველოში მცენარეული ზეთის ბაზარზე მოხდა ფასების სტაბილიზაცია. შარშან ამ პერიოდში მცენარეული ზეთის ფასი 2 ლარზე მეტი იყო. ამას ჰქვია ქვეყანაში მცენარეული ზეთის ბაზარზე ინტერვენციის განხორციელება, ბაზრის გაჯერებულობა და დეფიციტის აღმოფხვრა.

რაც შეეხება ედპ-ს ხელთ ჩავარდნილ დოკუმენტს, თავს ავარიდებთ შეურაცხმყოფელ შეფასებებს, მაგრამ როგორ წარმოუდგენიათ ავტორებს, — მინისტრს არა აქვს უფლება დააყენოს წინადადებები პრეზიდენტის წინაშე, ხოლო პრეზიდენტმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება? ჩვენ, მართალია, მოვამზადეთ წინადადება და იქვე შევნიშნეთ, რომ საკითხი უნდა შეთანხმდეს საქართველოს პრეზიდენტთან და აშშ-ს მთავრობასთან.

ასე რომ, ამ საკითხის გადამწყვეტი არც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და არც ფინანსთა სამინისტრო არ ყოფილა. მით უმეტეს, რომ ბრალმდებელნი არ დაინტერესებულან მოვლენათა შემდგომი განვითარებით, მათ საერთოდ არ აინტერესებთ პრობლემის ბედი.

სოიის ზეთი არ ჩაწოლილა, არც ჩაწვება. სწორედ ამიტომ შევთავაზეთ პრეზიდენტს წინადადებები. სასურველი თანხის 50 პროცენტიც რომ ამოვიღოთ რეალიზაციის შედეგად, იგი 30 წლის განმავლობაში ბრუნვით, დიდ მოგებას მოუტანს ქვეყანას.

სასურსათო კრედიტის პირობები შესათანხმებლად წარდგენილია ამერიკის მთავრობისათვის, თანხმობის მიღების შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შემუშავდება კონკრეტული პირობები და წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს გადაწყვეტილების მისაღებად. ამის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი* სოიის ზეთის გარკვეული რაოდენობის კონსიგნაციის წესით გაცემის თაობაზე.

მოლდავეთის რესპუბლიკის ბელცის ღვინის ქარხანასა და დეპარტამენტ „სამტრესტს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართული ღვინის ჩამოსხმის ექსკლუზიურ უფლებაზე და ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ღვინოების ფალსიფიცირების შესახებ იმდენად ფართო მსჯელობის საგანი გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა დეპარტამენტ „სამტრესტის" მაშინდელი თავმჯდომარის ი. ვასაძის მიმართ. საქმეს სწავლობდა საქართველოს უშიშროების სამინისტრო; ფრაქცია „აღორძინების" ინიციატივით შეიქმნა სადეპუტატო კომისია ჯ. მეგრელიძის თავმჯდომარეობით, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა 60-მდე პარლამენტარი; დავას ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და „სამტრესტს" შორის იხილავდნენ სასამართლო ორგანოები და ბოლოს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ჯ. მეგრელიძის თავმჯდომარეობით შექმნილი სადეპუტატო ჯგუფის ინფორმაცია განიხილა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომამ 1997 წლის 20 ნოემბერს (ოქმი № 8) და დეპარტამენტ „სამტრესტის" საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა კი ი. ვასაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვიტა დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

ასევე შეწყვიტა საქმის წარმოება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წლეულს, 29 იანვარს.

რაც შეეხება ქართული ღვინოების ფალსიფიცირების საკითხს, ეს მართლაც მეტად მტკივნეული საკითხია, როგორც ღვინის მრეწველობის დარგის, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ბრალდებებში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში შეუმოწმებლად და უზედამხედველოდ შემოდიოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესლები, რის შედეგადაც დიდი ზარალი განიცადა ჩვენმა მოსახლეობამ. დასახელებულია 1996 წელს აშშ-დან შემოტანილი ჰიბრიდული სიმინდის თესლი.

იმ წელს ჰიბრიდული სიმინდის თესლი მართლაც იქნა შემოტანილი ქვეყანაში. მაგრამ მასთან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს არავითარი შეხება, სამწუხაროდ, არ ჰქონია, რადგან ჩვენ მის შემოტანას არ დავუშვებდით, — განაცხადა **მეცენარეობის სამმართველოს უფროსმა ედნარ მიქანაძემ.** ქვეყანა 1996 წელს სათესლე მარცვლეულის დიდ დეფიციტს განიცდიდა, ამიტომ სამინისტრომ დახმარებისათვის ამერიკის მხარეს, კერძოდ, „ბრაზერ-ბრაზერის" ფონდს მიმართა. სამწუხაროდ, როგორც ეს სამინისტროსთვის შემდგომში გახდა ცნობილი, ამ ფონდმა ნაცვლად იმისა, რომ გამოხმაურებოდა ინიციატივას და პასუხი სამინისტროსათვის ეცნობებინა, ჰიბრიდული სიმინდის თესლის შემოტანის ორგანიზება განახორციელა კერძო ფირმის „ეისიდაის" მეშვეობით. მან, როგორც ტვირთის მიმღებმა, შემოიტანა 792 ტონა სიმინდის ჰიბრიდული თესლი, ისე, რომ შემოტანის დრო და რიცხვი სამინისტროსათვის არ უცნობებია.

კერძო სტრუქტურის მიერ შემოტანილი სათესლე სიმინდი მიიღეს ფერმერებმა, იგი ადგილებზე არ შეამოწმეს ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

აღნიშნული საკითხი, აგრეთვე, განხილული იქნა აგრარული კომიტეტის 1997 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებაც.



ბრალდებებში ცალკე მუხლად აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ ჯეროვნად არ შეასრულა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც 1997 წლის იანვრიდან კვების პროდუქტების მწარმოებელ საწარმოებზე ადრე გაცემული ლიცენზიები ძალადაკარგულად ჩაითვალა და საჭირო გახდა მათი ხელახალი ლიცენზირება. ამის დასტურად მოტანილია ციფრები, თუ ქვეყნის რეგიონების მიხედვით რამდენი ლიცენზია იქნა გაცემული, რომ ეს ძალზე მცირეა და ა. შ.

ოპონენტებს დაავიწყდათ, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", ზოგიერთი „პროფესიონალის" მეოხებით, არაფერია ნათქვამი კვების პროდუქტების წარმოების ლიცენზირებაზე და ამდენად, დღესაც ამ პროფილის საწარმოები თავიანთ საქმიანობას ულიცენზიოდ, ოღონდ, სრულიად კანონიერად წარმართავენ.

შემდგომ, რ. საყვარელიძე აკეთებს გადასვლას, რომ სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევს სამინისტროს მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში. თანაც ეს ქაოსი გამოხატულებას ბიუჯეტთან მიმართებაში პოულობს და მაგალითად მოჰყავს სააქციო საზოგადოება „საქაგროსერვისი", რომელიც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაფუძნებული არაა.

იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს, 1995 წელს შედგენილი პროგრამის შესაბამისად, მიეწოდებოდა სურსათი ჰუმანიტარული ტვირთის სახით (ხორბლის ფქვილი, ბრინჯი, კარტოფილის ფანტელი, მცენარეული ზეთი, კონსერვები), სურსათის ნაწილი (თითქმის 10 ათასი ტონა) მიღებული და რეალიზებულია. მისაღები დარჩა 400 ტონამდე მცენარეული ზეთი და 200 ტონამდე კონსერვი, რომლის გამოყოფა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. პროგრამის დასრულებისთანავე შედგება შესაბამისი ანგარიში და წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

„ბრალდებებში" მოხსენიებული ბრინჯი მიღებულია იტალიიდან ჰუმანიტარული დახმარებით 1996 წლის აგვისტოში; 1215 ტონა ინახებოდა ს/ს „ქსნის პურის" საცავებში.

მოსაზრება, თითქოს საკვებად ვარგისი ბრინჯიდან 28 ტონა, რატომღაც „უვარგისი" გახდა, არასწორია. ბრინჯი თითქმის 1,5 წლის განმავლობაში იმყოფებოდა სასაწყობო მეურნეობაში და ტომრების ქვედა ფენა მღრღნელებისთვის მისაწვდომი გახდა. ამიტომ დაზიანებული ბრინჯი უსასყიდლოდ გაიცა საქონლის საკვებად. ამის შესახებ ჟურნალისტებს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზურამ ესაკიამ მოუთხრო.

პრესკონფერენციაზე ითქვა, ედპ მთავარი კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული ბრალდებები არა მარტო საქმეში ჩაუხედაობის ბრალია, არამედ შეგნებული ცილისწამებითაცაა ნაკარნახევიო. მე კი მიმაჩნია: ორივე შემთხვევაში იგი ზიანს აყენებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და, ამდენად, ქვეყნის ინტერესებსაც, რადგან შეცდომაში შეჰყავს მოსახლეობა. სათანადო ემოციური დატვირთვა, ალბათ, მოახლოებული არჩევნების გამოც შეიმჩნევა. საინტერესოა, შემდეგი ვინ იქნება?

ნაზი იმნაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№204-205. კვირა-ორშაბათი. 1-2 აგვისტო. 1999 წელი.

პერსპექტივა

„აბრეშუმის გზის" სტრატეგიის 1999 წლის აქტი

(პირველი გვერდიდან)

ნაწილი 3.
აშშ პოლიტიკა

ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ აშშ პოლიტიკა შემდეგი იქნება:

1. გაწეული იქნება დახმარება დემოკრატიული მთავრობების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მშენებლობის საქმეში ადამიანთა უფლებების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით.
2. მხარი დაეჭირება ანტირასისტულ და ანტისემიტურ პოლიტიკას ტოლერანტობის, პლურალიზმის და ურთიერთგაგების განვითარების მიზნით.
3. განხორციელდება აქტიური მხარდაჭერა რეგიონული კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში, აგრეთვე, აღდგენილი იქნება სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობა.
4. მხარი დაეჭირება მეგობრული ურთიერთობების განვითარებას და ეკონომიკების კოოპერირებას ქვეყნებს შორის.
5. მხარდაჭერილი იქნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და პრაქტიკის გავრცელება.
6. განხორციელდება მხარდაჭერა კომუნიკაციებისათვის, გადაზიდვებისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, საჭირო ინფრასტრუქტურის აღდგენაში, ენერგეტიკისა და ვაჭრობის განვითარებაში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რათა საფუძველი ჩაეყაროს ძლიერ საერთაშორისო ურთიერთობებს შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებსა და სტაბილური, დემოკრატიული, საბაზრო ორიენტაციის ევროატლანტიკური ერთობის ქვეყნებს შორის.
7. განხორციელდება აშშ საქმიანი წრეებისა და ინვესტორების მხარდაჭერა ამ რეგიონში.

ნაწილი 4.
აშშ მცდელობა გადაწყვიტოს კონფლიქტები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში

კონგრესის პოლიტიკა მიზნად ისახავს, რომ აშშ პრეზიდენტმა უზრუნველყოს ყველა სახის დიპლომატიური ზემოქმედება აშშ-ს უმაღლეს ხელისუფალთა ჩართვით იმისათვის, რომ კონგრესის სახელით განხორციელდეს ზეწოლა, რათა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტების სამართლიანი გზით მოგვარება.

ნაწილი 5. უცხოური დახმარების 1961 წლის აქტის დამატება

უცხოური დახმარების 1961 წლის აქტის I ნაწილში დამატებულია თავი № 12, სახელწოდებით:

თავი 12 – „სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მხარდაჭერა".

პარაგრაფი 499.
აშშ დახმარება რეგიონული კონფლიქტების გადაწყვეტაში

ა. დახმარების მიზნები

1. საფუძველი ჩაეყაროს დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობების მოწესრიგებას;
2. ხელი შეეწყოს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიაში სამოქალაქო ომებითა და კონფლიქტებით დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებას.
3. მხარი დაეჭიროს ფართო რეგიონულ ურთიერთობებს სამინაო კონფლიქტებით დესტაბილიზებულ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.

ბ. დახმარებისათვის უფლებამოსილებით აღჭურვა

1. ზოგადად – განხორციელდეს ა ქვეთავში მოცემული დებულებები, აშშ-ს პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს ჰუმანიტარული დახმარება და ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას გ ქვეთავში მოცემული პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია.
2. რას ნიშნავს ჰუმანიტარული დახმარება – ამ ქვეთავში, ტერმინი ჰუმანიტარული დახმარება ნიშნავს საკვებითა და განსაცმლით, სამედიცინო აპარატურითა და პრეპარატებით უზრუნველყოფას და განათლების სფეროში დახმარებას.

გ. მხარდასაჭერი საქმიანობა – ბ ქვეთავის გათვალისწინებით

1. განხორციელდეს ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტის მსხვერპლთა მიმართ;
2. ხელი შეეწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნებას;
3. განხორციელებულ იქნას მხარდაჭერა ომით დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკური ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის.

დ. პოლიტიკა – აშშ კონგრესის პოლიტიკა მიზნად ისახავს, მხარი დაეჭიროს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ნეიტრალური, მრავალეროვანი სამშვიდობო ძალების ფორმირებას, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

პარაგრაფი 499 ა.
ეკონომიკური მხარდაჭერა

ა. დახმარების მიზანი. აშშ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკურ აღმავლობასა და განვითარებას რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გათვალისწინებით.

ბ. დახმარებისათვის უფლებამოსილება. ა ქვეთავში მოცემული მიზნების განსახორციელებლად, პრეზიდენტი უფლებამოსილია დახმარება გაუწიოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს გ ქვეთავში მოცემული საქმიანობის მხარდასაჭერად.

გ. მხარდასაჭერი საქმიანობა 498 პარაგრაფში მოცემული საქმიანობის გარდა, ბ ქვეთავით გათვალისწინებულმა დახმარებამ უნდა განავითაროს საბაზრო პრინციპებზე დამყარებული კერძო სექტორის ეკონომიკური აღმავლობა.

დ. პოლიტიკა. აშშ კონგრესის პოლიტიკა მიზნად ისახავს, რომ აშშ 1. ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში სამართლებრივი ბაზის შექმნასა და ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკის განვითარებას, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ქვეყნებში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარება და ეფექტიანი დაკავშირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან წევრი სახელმწიფოს ყველა უფლებამოსილების გათვალისწინებით.

2. მხედველობაში იქნას მიღებული ნულოვანი ტარიფების შექმნა აშშ და სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.

პარაგრაფი 499 ბ.
ინფრასტრუქტურის განვითარება

ა. პროგრამების მიზნები.

1. განვითარდეს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში რეგიონული თანამშრომლობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურები;
2 ხელი შეეწყოს აშშ სხვა განვითარებულ ქვეყნებსა და სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს მორის მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.

ბ. პროგრამების უფლებამოსილება ა ქვეთავში მოცემული დებულებების განსახორციელებლად და გ ქვეთავში მოცემული დებულებების მხარდასაჭერად, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი სახის პროგრამები:

1. ექსპორტ-იმპორტის ბანკის მიერ განხორციელდეს დაფინანსებისათვის არჩევანის უფლება ექსპორტ-იმპორტის ბანკის 1945 წლის აქტის გათვალისწინებით;
2. კერძო საინვესტიციო კორპორაციის მიერ დაზღვევით, ფინანსირებითა და სხვა დახმარებებით უზრუნველყოფა.
3. დახმარება ამ აქტის 661 პარაგრაფის გათვალისწინებით, რომელიც შეეხება ვაჭრობასა და განვითარების სააგენტოს.

გ. მხარდასაჭერი საქმიანობა. მოცემულმა პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყოს აშშ კომპანიებისა და ინვესტორების აქტიურ მონაწილეობას

1. ხელი შეუწყოს დემოკრატიის მშენებლობას, რომელიც მოიცავს საპარლამენტო ინსტიტუტებისა და პრაქტიკის გაზრდის პროგრამებს.
2. ხელი შეუწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებას.
3. ხელი შეუწყოს თავისუფალი პრესის განვითარებას.
4. ხელი შეუწყოს კანონმდებლობის, როგორც ძლიერი დამოუკიდებელი საკანონმდებლო ბაზის განვითარებასა და გამჭვირვალობას პოლიტიკურ პრაქტიკასა და კომერციულ საქმიანობებში.
5. ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო გაცვლებისა და მოწინავე პროფესიული ტრეინინგის პროგრამების განხორციელებას სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიზნით.
6. ხელი შეუწყოს ამ აქტის 116 ე პარაგრაფით გათვალისწინებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განვითარებას.

დ. მხარდასაჭერი ღონისძიებები – ბ ქვეთავში განსაზღვრული დახმარებით მხარდასაჭერი ღონისძიებები მიმართულია დემოკრატიის განვითარების პროგრესისაკენ.

ე. პოლიტიკა – აშშ კონგრესი მიზნად ისახავს, რომ ამერიკის ხმამ და RFL/RL ინკორპორაციამ შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის რადიომაუწყებლობა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მშობლიურ ენებზე, შესაძლებელი მაქსიმალური ხანგრძლივობით.

პარაგრაფი 499 ე.
დახმარების შესაბამისობა

ა. ზოგადად – ამ პარაგრაფის მიხედვით, ბ ქვეთავით განსაზღვრული საკითხების გარდა, დახმარება შეიძლება არ გაეწიოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობებს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი განსაზღვრავს და დაუდასტურებს კონგრესის შესაბამის კომიტეტებს, რომ ასეთი ქვეყნის მთავრობა

1. მუდმივად არღვევს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანთა უფლებებს;
2. ამ აქტის ამოქმედების დღიდან შემდგომში შეგნებულად განახორციელებს ან უკვე განახორციელა სხვა ქვეყნებში –

ა. ბომბების ან ფეთქებადი ტექნიკის გადაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება ფეთქებადი ტექნოლოგიის მაკონტროლებელი რეჟიმის სახელმძღვანელოსა და პარამეტრებს (როგორც განსაზღვრულია ექსპორტის ადმინისტრაციის აქტის 1979 950 U.S.C. ღამ. 11 ბ გ პარაგრაფში).

ბ. ნებისმიერი ნივთიერების, აღჭურვილობის ან ტექნოლოგიის გადაგზავნა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ქვეყანას ნებისმიერი მასობრივი განადგურების (ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ჩათვლით) იარაღის წარმოებაში და თუ აშშ პრეზიდენტი განსაზღვრავს, რომ ნივთიერება, აღჭურვილობა, ან ტექნოლოგია უნდა გამოყენებულიყო ამ ქვეყნის მიერ იარაღის საწარმოებლად.

1. მუდმივად ეხმარებოდა საერთაშორისო ტერორისტული აქტების განხორციელებას; ან
2. ეკრძალება ასეთი დახმარების მიღება იარაღის ექსპორტის კონტროლის აქტის მე-10 პარაგრაფის ან 1991 წლის (22 U.S.C. 5604 (ა) (1). 5605) ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კონტროლისა და საომარი აღჭურვილობის გაუვრცელებლობის აქტის 306 ა (1) და 307 პარაგრაფების მიხედვით.

ბ. გამონაკლისი – დახმარებებში

1. გამონაკლისი. დახმარება აკრძალულია ა ქვეთავით ან ნებისმიერი კანონის მსგავსი დებულებით, სხვა სახის დახმარება, გარდა აკრძალულისა დებულებებით, რომელიც აღწერილია ა ქვეპუნქტის (2) და (4) პარაგრაფებში, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი შემთხვევების შედეგად:

ა. პრეზიდენტი განსაზღვრავს, რომ ასეთი დახმარების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია აშშ ეროვნული ინტერესებისათვის.

ბ. პრეზიდენტი განსაზღვრავს, რომ ასეთი დახმარების უზრუნველყოფა გამოიწვევს საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონმდებლობისა და დემოკრატიული მმართველობის ინსტიტუტების განვითარებას.

გ. დახმარება განისაზღვრება გაჭირვების შემსუბუქების მიზნით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი ან ადამიანის მოქმედების შედეგად მიღებული უბედურებით.

დ. დახმარება უზრუნველყოფილია საშუალო სკოლის გაცვლითი პროგრამების საშუალებით, რომელიც [illegible] აშშ-ის საინფორმაციო სააგენტომ.

2. ანგარიში კონგრესში – აშშ პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცნობებს კონგრესს ნებისმიერ გადაწყვეტილებას განსაზღვრულს 1 ა ან ბ მუხლში, ან ნებისმიერ პირობას 1 გ მუხლით გათვალისწინებული დახმარების უზრუნველსაყოფად.

პარაგრაფი 499 ვ.
ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა

ა. დახმარება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით. ამ თავით გათვალისწინებული დახმარება შეიძლება გაეწიოს მთავრობებისა ან არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით.

ბ. ეკონომიკური დახმარების ფონდის გამოყენება. ნებისმიერი ფონდი, რომელიც მიმართულია მე-4 თავის II ნაწილის მიხედვით ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი ქვეყნის დასახმარებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ თავის დებულებების შესაბამისად.

გ. ვადები და პირობები. ამ თავის მიხედვით დახმარება უზრუნველყოფილ უნდა იქნას პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით.

დ. შესაძლებელი ხელმძღვანელობა – ხელმძღვანელობა, რომელიც ამ თავში უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დახმარებას, არის იმ ხელმძღვანელობის დანამატი, რომელიც უზრუნველყოფს ასეთ დახმარებას თავისუფლების მხარდაჭერის აქტის (22 U.S.C. 5801 ეტ სექ.) ან სხვა ნებისმიერი აქტის საფუძველზე. და ხელმძღვანელები მე-11 თავის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ თავით განსაზღვრული დახმარების მხარდასაჭერად.

პარაგრაფი 499 ზ.
განსაზღვრებები

ამ თავში:

1. კონგრესის შესაბამისი კომიტეტები. – ტერმინი „შესაბამისი კონგრესის კომიტეტები ნიშნავს სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტს და წარმომადგენელთა სახლის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტს.
2. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები – ტერმინი „სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები" ნიშნავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს და უზბეკეთს.

ნაწილი 6. აზერბაიჯანის მთავრობისათვის დახმარების შეზღუდვა

თავისუფლების მხარდაჭერის აქტის პარაგრაფი 907 (22 U.S.C. 5812 შენიშვნა).

1. ჩასმულია „ა შეზღუდვა-"; და
2. ბოლოში დამატებულია შემდეგი:

ა. უარყოფა – ა ქვეთავში განსაზღვრული შეზღუდვა დახმარების სახეებ არ [illegible] ება იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი განსაზღვრავს და დაუდასტურებს კონგრესს, რომ ნაცხადი შეზღუდვის შესახებ არ შეეა აშშ ეროვნულ ინტერესებში.

ნაწილი 7.
ყოველწლიური ანგარიში

თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 104 პარაგრაფში

1. ამოღებულია „და" (3) აბზაცის ბოლოში;
2. მე-4 აბზაცის ბოლოში ამოღებულია ფრაზა და ჩასმულია „და";
3. დამატებულია შემდეგი ახალი აბზაცი:

5. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მიმართებაში

ა. იდენტიფიცირებულ იქნას აშშ საგარეო პოლიტიკის წინსვლა, რათა სისრულეში მოყვანილ იქნას 1999 წლის აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტის მესამე ნაწილით განსაზღვრული პოლიტიკა.

ა. შეფასებულ იქნას 1961 წლის საგარეო დახმარების აქტის მე-12 თავის 1 ნაწილით ნებადართული დახმარების მიერ სისრულეში მოყვანილი მიზნების ხარისხი;

გ. რეკომენდირებულ იქნას დამატებითი ინიციატივები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რათა განხორციელებულ იქნას 1999 წლის აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტით გათვალისწინებული პოლიტიკა და მიზნები.

ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის, მათ შორის საავიაციო ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საავტომობილო გზების, სარკინიგზო მაგისტრალების, საზღვაო პორტების, სადგურების, დაზღვევის, ტელეკომუნიკაციების, გაზისა და ნავთობსადენების დაგეგმვა, დაფინანსებასა და მშენებლობას.

დ. პოლიტიკა. აშშ კონგრესის პოლიტიკაა რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის აშშ წარმომადგენლებმა ხელი შეუწყონ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ინფრასტრუქტურების განვითარებას რეგიონების ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

პარაგრაფი 499 გ.
დახმარება საზღვრების გაკონტროლებაში

ა. დახმარების მიზანი. აშშ მიზნად ისახავს, დაიცვას საზღვრები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში და დააწესოს ეფექტიანი კონტროლი არალეგალური ნარკოტიკების შემოტანისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღსაკვეთად (აშშ-ს კოდექსი. მე-18 მუხლის 2332 ა (გ) (2) ნაწილი) და ხელი შეუშალოს ტრანსეროვნულ ორგანიზებულ კრიმინალურ ქმედებებს.

ბ. უფლებამოსილება დახმარებისათვის ა ქვეთავში მოცემული მიზნების განსახორციელებლად. აშშ პრეზიდენტი უფლებამოსილია დაეხმაროს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს გ ქვეთავში მოცემული საქმიანობების მხარდასაჭერად.

გ. მხარდასაჭერი ქმედებები. მხარი დაეჭიროს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეროვნული საზღვრო და სანაპირო დაცვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებას.

დ. პოლიტიკა. აშშ კონგრესის პოლიტიკა მიზნად ისახავს, რომ აშშ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მხარი დაეჭიროს რეგიონული სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას ისეთი პროგრამების გათვალისწინებით, როგორიც არის „ცენტრალური აზიის ბატალიონი" და ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის".

პარაგრაფი 499 დ.
დემოკრატიისა და ტოლერანტობის გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

ა. დახმარების მიზანი – ამ პარაგრაფით გათვალისწინებული დახმარების მიზანია დემოკრატიული მთავრობის ინსტიტუტების განვითარება და პლურალისტული საზოგადოების აღმავლობის პირობების შექმნა რელიგიური ტოლერანტობისა და საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების პატივისცემის გათვალისწინებით.

ბ. დახმარების უფლებამოსილება – ა ქვეთავში მოცემული მიზნის განხორციელებისათვის პრეზიდენტი უფლებამოსილია სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ უზრუნველყოს შემდეგი სახის დახმარება:

ნაწილი 8. დანართების დადასტურება

თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 102 ა პარაგრაფის (სახელმწიფო კანონი 102-511) მე-2 და მე-4 აბზაცებში, ყველა ადგილას „ამოღებულია ეს აქტი და ჩასმულია ეს აქტი და 1999 წლის „აბრეშუმის გზის" სტრატეგიის აქტი.

ნაწილი 9. განმარტებები

ამ აქტში:

1. **კონგრესის შესაბამისი კომიტეტები.** ტერმინი კონგრესის შესაბამისი კომიტეტები ნიშნავს სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტს და წარმომადგენელთა სახლის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტს.
2. **სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები.** ტერმინი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები ნიშნავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს და უზბეკეთს.

აფხაზეთი-ტკივილი ჩვენი

მათ პასუხი უნდა აგონ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ბარბაროსული დანაშაულის გამო

(პირველი გვერდიდან)

ეროვნული ნიშნით დახვრეტილი, უგზო-უკვლოდ დაკარგული, ცოცხლად დამწვარი, წამებული და დასახიჩრებულია ათიათასობით მშვიდობიანი მოსახლე, განადგურებულია ქართველთა 20.000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, დამწვარი და გაძარცულია ქართული სკოლები, ბიბლიოთეკები, ბაგა-ბაღები, კულტურის ცენტრები, ეკლესიები, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლები, აკრძალულია ქართულ ენაზე სწავლა. მშობლიური კერებიდან გაძევებულია აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის 80 პროცენტი.

სეპარატისტების მიერ ორგანიზებული ტერორისა და აპარტეიდული რეჟიმის მსხვერპლი, ქართველებთან ერთად, გახდნენ ასევე აფხაზეთში მცხოვრები ბერძნები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები, ესტონელები, სომხები და თვით აფხაზებიც, რომელთა ერთი ნაწილი ომს შეეწირა, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი სეპარატისტთა შიშით იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და თავი შეეფარებინა საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებზე, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალებზე და თვითმხილველთა ჩვენებებზე დაყრდნობით უცილებლად დადასტურებულია, რომ აფხაზურმა სეპარატისტულმა ძალებმა არაადამიანური, უსასტიკესი მეთოდების გამოყენებით – მასობრივი დახვრეტა, ადამიანების ცოცხლად დამარხვა, ჭაში ჩაყრა, მცირეწლოვანთა ჯგუფური გაუპატიურებით – აიძულეს 250 000-ზე მეტი ძირძველი ქართველი მოსახლეობა დაეტოვებინა საკუთარი მიწა-წყალი და ძალადობით მიაღწიეს დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობის მიმართ ეთნიკური წმენდის პოლიტიკა დაგმო ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეამ, ეუთო-მ, აგრეთვე დსთ ქვეყნების ლიდერთა სამიტებმა, რაც კარგად არის ცნობილი საერთაშორისო საზოგადოებისათვის.

გაეროს უშიშროების საბჭომ თავის რეზოლუციებში არაერთხელ დაადასტურა აფხაზური მხარის დესტრუქციული პოზიცია მშვიდობიან მოლაპარაკებებში, განსაკუთრებით კი, მისი უარყოფითი დამოკიდებულება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მშობლიურ ადგილებში მშვიდობიანი და ღირსეული დაბრუნების პროცესის უსაფრთხოების მექანიზმის შექმნის მიმართ, რის გამოც საბჭო მსოფლიოს შეახსენებს ლისაბონის გადაწყვეტილებებს და მოითხოვს ამ საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას.

ადამიანის უფლებათა დაცვა დღეს ცივილიზებული და დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნების აუცილებელი ატრიბუტი და მოვალეობა ხდება და ის საჭიროებს მთელი მსოფლიოს ერთიან ძალისხმევას. კონფერენცია ხაზს უსვამს, რომ ჯერჯერობით ხშირია ფაქტი, რომ საერთაშორისო აღიარებული ცნება – „თავისუფლება და ღირსეული ცხოვრება ყოველი ადამიანის უფლებაა", ბევრ შემთხვევაში დეკლარირების ფარგლებს არ სცილდება. ამის ნათელი დადასტურებაა აფხაზეთიდან ლტოლვილი და დევნილი 300 000-ზე მეტი ადამიანის ბედი, რომლებიც 6 წელია იტანჯებიან ადამიანის ელემენტარული უფლების – საკუთარ სახლებში დაბრუნებისა და ცხოვრების უფლების აღდგენის მოლოდინში. [illegible]

კიშინიოვის სამიტების დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ აფხაზეთში მოხდა სეპარატისტული რეჟიმის მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდა, მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების შემწყნარებლური და დამთმობლური დამოკიდებულების შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ გრძელდება ადამიანის უფლებათა მასობრივი შელახვა და ღირსებების გათელვა.

კონფერენციაზე გამოიკვეთა სეპარატისტთა მიერ აფხაზეთში მოწყობილი და დღემდე მიმდინარე ქართველთა ეთნიკური წმენდის მრავალი ფაქტი, რომელიც 1992 წლის 17 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით გენოციდის ფორმად არის აღიარებული.

კოსოვოში მომხდარმა ამბებმა ნათლად დაანახა მსოფლიოს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ათასობით, ასიათასობით ეთნიკურად განსხვავებული ადამიანების მიმართ ეთნიკური წმენდის პოლიტიკაზე დაგვიანებულ რეაგირებას – ამ შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია სისხლისმღვრელ შედეგს იწვევს, რასაც გაცილებით უფრო მეტი ადამიანი ეწირება.

საერთაშორისო თანამეგობრობამ გამოიტანა პოლიტიკური ვერდიქტი აფხაზეთში ჩადენილ არაადამიანურ დანაშაულობებთან დაკავშირებით. საჭიროა ამ მოვლენებს საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით გათვალისწინებული შეფასებაც მიეცეს.

მსოფლიო გაერთიანებას მივმართავთ თხოვნით აფხაზეთიდან დევნილი ასიათასობით ადამიანის – ბავშვის, ქალის, მოხუცის, ინვალიდის, უსახლკაროდ დარჩენილი და უსამართლოდ განწირული, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრამდე მიყვანილი ხალხის სახელით – მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები აფხაზეთის კონფლიქტის უმოკლეს ვადაში მოსაწესრიგებლად.

თხოვნით მივმართავთ გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ კოფი ანანს, რათა უფრო ენერგიული და ქმედითი ზომები განახორციელოს აფხაზეთში კონფლიქტის მოსაგვარებლად, იქ მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკური არსენალი ამოწურულია, შესაძლებლად იქნას მიჩნეული მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის შეცვლა მშვიდობისათვის იძულების ოპერაციით და ამის შესახებ ერთმნიშვნელოვნად იქნას დაყენებული საკითხი უშიშროების საბჭოს წინაშე.

კონფერენციას მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას სპეციალური კომისია სათანადო ორგანოების ხელთ არსებული აფხაზეთში ქართველთა მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ამსახველი მასალების განსახილველად და მათი საერთაშორისო სასამართლოსათვის გადასაცემად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოვუწოდებთ ამ მიმართულებით გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები და მიმართოს იმ ზომებს, რომლებიც გამოყენებული იქნა იუგოსლავიის ყოფილ ტერიტორიებზე და რუანდაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის დადგენისა და დამრღვევთა მიმართ საერთაშორისო მართლმსაჯულების ნორმების შეფარდების მიზნით.

გენოციდური საშუალებებით ეთნიკური წმენდის ყოველმა ჩამდენმა უნდა იცოდეს, რომ ის ვერ ასცდება საერთაშორისო მართლმსაჯულებას და მზად უნდა იყოს პასუხი აგოს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ამ ბარბაროსული [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა
№204-205. კვირა-ორშაბათი, 1-2 აგვისტო, 1999 წელი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1999 წლის 26 ივლისი **ქ. თბილისი**

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიოში მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები ჩვენს წინაშე აყენებს საინფორმაციო-ტექნოლოგიური საზოგადოების ფორმირების პროცესის დაჩქარების აუცილებლობას. ამის გამო საინფორმაციო-ტექნოლოგიური საზოგადოების ცხოვრების წესის დამკვიდრება უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისა და პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

საზოგადოების განვითარების დღევანდელი დონე მოითხოვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება-განახლებას, მთლიანად ინფორმატიკისა და საკომუნიკაციო სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, რომლის საბოლოო მიზანი იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების დამუშავება და დანერგვისათვის ხელშეწყობა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება განსაზღვრავს საქართველოს როლს და ადგილს მსოფლიოს სატელეკომუნიკაციო სივრცეში. საქართველოს გეოპოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც „ტრასეკას“, ახალი აბრეშუმის გზის სატრანსპორტო მაგისტრალის, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ერთიან გეგმაში, ისე დამოუკიდებელი, თვითმყოფადი სატელეკომუნიკაციო კორიდორის სახით, რომელსაც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და ეკონომიკური დატვირთვა მიენიჭება. ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა უკვე ამ ეტაპზე დსთ-ს თანამეგობრობის ქვეყნებთან არსებულ სატელეკომუნიკაციო სივრცის პარალელურად განაპირობებს სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური და მცირე აზიის, შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ერთად ახალი სატელეკომუნიკაციო სივრცის არსებობის რეალობას.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური საზოგადოების ფორმირების სამოქმედო პროგრამის შემუშავების, ამ მიმართულებით საქმიანობის კოორდინირების, მთლიანად ტექნოლოგიების თვისობრივად ახალ დონეზე აყვანის მიზნით:

1. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (ს.ესაკია):

ა) განახორციელოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობის კოორდინირება, საინფორმაციო მართვა;

ბ) 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული რიცხოვნობისა და ხარჯების ფარგლებში, ახალი დებულების შემუშავებისას, თავის სტრუქტურაში გაითვალისწინოს ორგანიზაციული ქვედანაყოფი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით;

გ) პერიოდულად მთავრობის სხდომას წარმოუდგინოს ინფორმაცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

2. დამტკიცდეს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით მომუშავე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი:

ა) საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში – საკოორდინაციო საბჭო) თანდართული დებულება;

ბ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა თანდართული სიის მიხედვით.

3. საკოორდინაციო საბჭომ მიმდინარე წლის დეკემბერში წარმოადგინოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების გრძელვადიანი (7-10 წელი) საპრეზიდენტო პროგრამა, რომელშიც წარმოჩენილი იქნება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საზოგადოების ფორმირების იდეოლოგია და პრაქტიკა, მისი განვითარებისათვის აუცილებელი წანამძღვრები. პროგრამაში ასახული იქნება:

ა) საინფორმაციო და ტექნოლოგიური საზოგადოების როლი, ელექტრონული კომერციის, ტელემედიცინის, ეკოლოგიური მონიტორინგის, საბანკო, საგადასახადო, საბაჟო, სადაზღვევო, ტელესაინფორმაციო და სხვა სამსახურების ფუნქციონირების ასპექტები;

ბ) ინტერნეტისა და სხვა ქსელების საშუალებით ახალგაზრდობის, მოსწავლეთა, სტუდენტთა, საერთოდ მოსახლეობის მასობრივი დისტანციური სწავლების ტექნიკური, ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხები.

4. საპრეზიდენტო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის, რგოლის მოცვა ახალი ტექნოლოგიებით: ქვეყნის ერთიანი კომპიუტერული ქსელის აგება, ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის ინტერნეტის ქსელში ჩართვა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების, კომპანიების, ჯგუფების საქმიანობის კოორდინირების საკითხების გადაჭრა, სამინისტროების, უწყებების და სხვა სტრუქტურების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის მოზიდული მატერიალურ და ფინანსურ საშუალებათა საჭიროებისამებრ მიმართვა.

5. საკოორდინაციო საბჭომ (ვ. ლორთქიფანიძე, ს. ესაკია, პ. კერვალიშვილი, რ. სვანიძე) პროგრამის განხორციელების მიზნით დასვას შემდეგი საკითხები:

ა) ევროკავშირის, საერთაშორისო ორგანიზაციების დონორი ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის გრანტების, შეღავათიანი კრედიტებისა და სხვა ფინანსური საშუალებების გამოყოფის შესახებ;

ბ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის, განვითარების, გამოყენების, სწავლებისადმი მიძღვნილი სემინარების, სიმპოზიუმების, კონფერენციების, გამოფენების მოწყობის შესახებ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს კანონი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 1 (8), 1999 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 23-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ბირჟის, რეგისტრატორის ან ცენტრალური დეპოზიტარის ის თანამშრომელი, რომელსაც ხელი მიუწვდება კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, არ შეიძლება იმავდროულად საბროკერო კომპანიაში ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომლისთვისაც საჭიროა ბროკერის ლიცენზია, და პირიქით.“, ხოლო მე-3-6 პუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს მე-4-7 პუნქტებად.

2. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „აღიარებულია“ შეიცვალოს სიტყვებით „კომისიის მიერ განცხადების განხილვის პერიოდში აღიარებული უნდა იქნეს“.

3. 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ.გ.“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „თუ“.

4. 48-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია შედგება ხუთი წევრისაგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საჯარო სამსახურში მუშაობის, იურიდიული ან სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, ანდა წარმოადგენდნენ ექსპერტებს ამ სფეროში. კომისიის ხუთივე წევრს, აგრეთვე მათგან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარედ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე“.

5. 52-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-5 პუნქტებში სიტყვების „ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან ანგარიშვალდებული საწარმოს“;

ბ) მე-3 პუნქტში სიტყვების „ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან ანგარიშვალდებულ საწარმოს“.

6. 55-ე მუხლს:

ა) სათაურში სიტყვის „ადმინისტრაციული“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სისხლისსამართლებრივი“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების დამამძიმებელ გარემოებებში დამრღვევისათვის შეიძლება დადგენილ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

7. 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის სამი წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისად 5, 4 და 3 წლის ვადით. კომისიის ფუნქციონირების დაწყების მიზნით კომისიის პირველი შემადგენლობის სრულ ფორმირებამდე კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს 5 წლის ვადით დანიშნული კომისიის წევრი. კომისია მუშაობას იწყებს ამ სამი წევრის დანიშვნისთანავე“, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. კომისიის პირველ შემადგენლობაში კომისიის ორ წევრად, შესაბამისად არა უმეტეს 1 და 2 წლის ვადით, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, დროებითი ღონისძიების სახით, თანამდებობაზე პირდაპირ დანიშნოს მაღალგანვითარებული ფინანსური და საფონდო ბაზრის რეგულირების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების მქონე და კონკურსის საფუძველზე შერჩეული უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე.

5. კომისიის ხუთივე წევრის დანიშვნისთანავე კომისია იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრთაგან კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“; მე-4-8 პუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს მე-6-10 პუნქტებად.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საკოორდინაციო საბჭო – სს) წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და სამრეწველო-ეკონომიკურ საკონსულტაციო ორგანოს.

2. თავის საქმიანობაში საკოორდინაციო საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საკოორდინაციო საბჭოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ინდუსტრიული მშენებლობის ძირითადი გეგმების მიხედვით.

2. საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) რეკომენდაციების შემუშავება დარგის პერსპექტიული განვითარების შესახებ;

ბ) შიდა და გარე ინვესტიციების ხელშემწყობი პირობების (გარემოს) შექმნის ღონისძიებების შემუშავება (ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით);

გ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამებისა და პროექტების დამუშავებისათვის ხელშეწყობა;

დ) მარკეტინგული გამოკვლევებისა და ანალიზის მოწყობის ორგანიზაცია;

ე) სამამულო და საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების ანალიზისა და ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაცია;

ვ) დარგში პრობლემური და მნიშვნელოვანი პროგრამებისა და პროექტების, ტექნიკური დავალებებისა და დასრულებული სამუშაოების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ზ) სამამულო და საზღვარგარეთული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და საერთაშორისო ტრანსფერისათვის ხელშეწყობა;

თ) თანამედროვე ინდუსტრიული კომპლექსებისა და საწარმოების ორგანიზაციისა და განვითარების შესახებ წინადადების შემუშავება;

ი) არსებული მდგომარეობის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება საწარმოების რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის შესახებ;

კ) გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურისა და მოცულობის შეცვლისთვის წინადადებების შემუშავება საერთაშორისო ტექნიკური დონისა და მოთხოვნების შესაბამისად;

ლ) დარგში სტანდარტიზაციის, უნიფიკაციის, სამეცნიერო-სამრეწველო და ეკონომიკური ინფორმაციული საქმიანობის განვითარების ორგანიზაცია;

მ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამამულო საქმიანობის ინტეგრირება ევროპულსა და მსოფლიო სივრცეში;

ნ) საინფორმაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მოსახლეობის ფართო ფენების გათვითცნობიერება და სწავლება სპეციალური გამოცემებისა და სატელევიზიო პროგრამების საშუალებით.

3. საინფორმაციო მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

III. საკოორდინაციო საბჭოს სტრუქტურა, შემადგენლობა და მუშაობის განაწესი

1. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საწარმოო ოგანიზაციებში მოღვაწეობენ. საბჭოში შეიძლება მოწვეულ იქნენ უცხოელი მეცნიერები და ექსპერტები.

2. საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი – საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები. საბჭოს ჰყავს მდივანი. საბჭოს სტრუქტურა მტკიცდება მისი წევრების ხმათა 2/3-ის გადაწყვეტილებით. საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფებს.

3. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში, საჭიროების შემთხვევაში, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები და მეწარმეები.

5. საკოორდინაციო საბჭოს სხდომები გაიმართება სულ ცოტა 6 თვეში ერთხელ მისი გეგმის მიხედვით, სს-ს სამუშაო გეგმა მიიღება სს-ის მიერ ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში, შემდეგი წლისათვის.

6. საკოორდინაციო საბჭოს მდივანი პასუხისმგებელია სს-ის მუშაობის გეგმების ორგანიზებისა და განსახილველი საკითხების მომზადებისათვის.

7. საკოორდინაციო საბჭოზე გამოსატანი საკითხები წინასწარ განიხილება სამუშაო ჯგუფში, რომელშიც მონაწილეობს სს-ის სულ ცოტა 3 წევრი მაინც.

8. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მიღებულ გადაწყვეტილებებს, უფლება აქვთ დააფიქსირონ თავისი განსხვავებული აზრი საბჭოს სხდომის ოქმში.

9. საკოორდინაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ძირითადად ღია კენჭისყრით. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია საბჭოს დამსწრე წევრების ხმათა რაოდენობის ნახევარზე მეტი.

10. საკოორდინაციო საბჭო ისმენს გაწეული მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშს.

11. საკოორდინაციო საბჭო თავისი საქმიანობის, პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მიზნით იწვევს დამოუკიდებელ ორგანიზაციას (ადგილობრივი, საერთაშორისო).

IV. უფლებები და მოვალეობები

1. სს-ს აქვს უფლება:

ა) მოიწვიოს შესაბამისი მიმართულების სპეციალისტები;

ბ) შექმნას სამუშაო ჯგუფები და კომისიები პრობლემური საკითხების განსახილველად;

გ) მოითხოვოს მასალები და დოკუმენტები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

2. სს-ის წევრებს აქვთ უფლება:

ა) განსახილველად წარმოადგინონ სამეცნიერო-ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხები;

ბ) მოითხოვონ შესაბამისი საექსპერტო მასალები და დოკუმენტები;

გ) იმუშაონ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში;

დ) მიიღონ მონაწილეობა ტენდერებში.

3. სს-ის წევრები მოვალენი არიან:

ა) დაესწრონ საბჭოს სხდომებს და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში;

ბ) მონაწილეობა მიიღონ სხდომებში და შეასრულონ სს-ის დავალებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 ივლისის №456 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკოორდინაციო საბჭო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

საქართველოს კანონი

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

ეს კანონი ადგენს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტირებისას) ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ ხელშეკრულების დებულებებს სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა თაობაზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უფლების მფლობელი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს საავტორო უფლება, განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე ანდა რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება;

ბ) საავტორო უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, რომელიც წარმოადგენს უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში მისი რწმუნებულის ნებართვის გარეშე წარმოებული საქონლის ასლს და რომელიც საქართველოში წარმოშობის შემთხვევაში წარმოებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

გ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, რომელზედაც უკანონოდ არის გამოყენებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

დ) კონტრაფაქციული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს;

ე) „დე-მინიმის“ იმპორტი – არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონელი, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი II

საქონლის შეჩერება

მუხლი 3. საქონლის შეჩერება საბაჟო ორგანოების მიერ

უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შეჩერება.

მუხლი 4. განცხადება

1. უფლების მფლობელი, რომელიც მოითხოვს საქონლის შეჩერებას ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წერილობით წარუდგენს:

ა) იმის სათანადო დასაბუთებას, რომ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლების მფლობელის უფლებები;

ბ) საქონლის დეტალურ აღწერას – საბაჟო ორგანოების მიერ მისი ამოცნობის გაადვილების მიზნით;

გ) სასამართლოს მოთხოვნით, უზრუნველყოფის გარანტიას. ასეთი უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების წარმოდგენით, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

2. მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები და ეცნობებათ საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ შესაბამის ღონისძიებათა ჩატარებისათვის დადგენილი ვადების შესახებ.

მუხლი 5. საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა

თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანიდან 14 დღის განმავლობაში უფლების მფლობელი ვერ უზრუნველყოფს სასამართლოში სარჩელის შეტანას, შეჩერებული საქონელი ექვემდებარება გაშვებას.

მუხლი 6. ზარალის ანაზღაურება

სასამართლოს შეუძლია მოსარჩელეს დააკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც საქონლის შეჩერებით განიცადა იმპორტიორმა, ექსპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან საქონლის მესაკუთრემ.

მუხლი 7. შემოწმების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების უფლება

სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი კონფიდენციალური ინფორმაციისათვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე უზრუნველყოფს უფლების მფლობელის მიერ შეჩერებული საქონლის შემოწმების ჩატარებას. სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი იმპორტიორს ან ექსპორტიორს ატყობინებს ამგვარი შემოწმების ჩატარების შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფს მის დასწრებას შემოწმებაზე და საქონლის შემოწმების თანაბარ შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი უფლების მფლობელს აცნობებს ტვირთის გამგზავნის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და ტვირთის მიმღების ვინაობას და მისამართს, აგრეთვე მოცემული საქონლის რაოდენობას.

მუხლი 8. ღონისძიებები

1. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოაქვს გადაწყვეტილება მოცემული საქონლის განადგურების ან განკარგვის შესახებ.

2. საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

3. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი არ დაუშვებს კონტრაფაქციული პროდუქციის ექსპორტს ან რეექსპორტს.

მუხლი 9. „დე-მინიმის“ იმპორტი

ეს კანონი არ გამოიყენება არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი III

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 10. გარდამავალი დებულება

დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის განმავლობაში გამოსცეს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1999 წლის 23 ივნისი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 4 ივლისი **ქ. თბილისი**

საქართველოში პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

სახელმწიფოებრივი მშენებლობის სადღეისო და სამომავლო ამოცანების, გლობალურ და რეგიონალურ ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის ახალი ფუნქციური დანიშნულების გაანალიზების, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დანერგვისა და საზოგადოებაში პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლების მიზნით:

1. საქართველოს განათლების სამინისტრომ (ა. კარტოზია) შეისწავლოს და გააანალიზოს სასწავლო დაწესებულებებში პოლიტიკურ მეცნიერებათა სწავლების და ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვის პრობლემები, განსაზღვროს მუშაობის სრულყოფის პერსპექტიული მიმართულებები და პრიორიტეტები.

მიიღოს ქმედითი ზომები სასწავლო დაწესებულებებში პოლიტიკურ მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის შემოღების, პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

2. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რ. მეტრეველი) ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადება უნივერსიტეტის სტრუქტურაში პოლიტიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის, განთავსების და აღჭურვის, მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებებისა და დასამუშავებელი პრობლემატიკის განსაზღვრის შესახებ.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა (ა. თავხელიძე) განიხილოს მის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების ბაზაზე პოლიტიკურ მეცნიერებათა (ან მისი რომელიმე დიდი პრობლემის) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბების საკითხი და ერთ თვეში წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორები უმაღლესი სასწავლებლების სპეციფიკისა და საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეისწავლიან პოლიტიკურ მეცნიერებათა პრობლემატიკის დამუშავებაში მონაწილეობის ფორმას, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან პოლიტიკურ მეცნიერებათა სწავლებას მაქსიმალურად დაუკავშირებენ სპეციალობების ხასიათსა და დანიშნულებას.

5. ჟურნალ „პოლიტიკის“ რედაქციამ (ს. ცინცაძე) პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივ აკადემიასთან ერთად (ვ. ჭანტურიძე) ერთ თვეში წარმოადგინოს ჟურნალის ტირაჟის გაზრდისა და მისი მეცნიერულ-შემეცნებითი დანიშნულების ამაღლებისათვის საჭირო ორგანიზაციული და საფინანსო ღონისძიებების გეგმა.

6. ეთხოვოს საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ ხელმძღვანელობას (ნ. წერეთელი) წარმოადგინოს ამავე ორგანიზაციასთან არსებულ სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული მოსახლეობის ფართო ფენებისათვის განკუთვნილი პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემისა და სალექციო-საინფორმაციო მუშაობისათვის საჭირო ორგანიზაციული და ფინანსური ღონისძიებების გეგმა.

7. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ლ. პაპავა) და ფინანსთა სამინისტრომ (დ. ონოფრიშვილი) დაინტერესებულ სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგინონ ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამა და საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინონ შესაძლებლობების ფარგლებში საჭირო ასიგნებათა გამოყოფა.

ე. შევარდნაძე.

პროკურატურა

კარგა ხანია ვამტკიცებთ, მოქალაქეთა ცემა-ტყეპის დრო წავიდაო, მაგრამ, როგორც ფაქტები ღაღადებენ, ამ მტკიცებას ზოგიერთი პოლიციელი აინუნში არ აგდებს, ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს და მუშტითა თუ ავტომატის კონდახით მას სიცოცხლესაც ართმევს. არ გაგიკვირდეთ, იყო ასეთი შემთხვევა ახალგორში, გარდაბანში... და შეიძლება ხვალ განმეორდეს საგარეჯოში, წალკაში...

თავად პოლიცია დიდი მონდომებით ებრძვის დამნაშავე თანამშრომლებს. მათ მიმართ მკაცრ ღონისძიებებს ახორციელებს. და მაინც, დღემდე ვერაფრით ვერ აღმოიფხვრა ადამიანთა უკანონო დაკავების, ჩხრეკის, ფულის გამოძალვის, ცემა-ტყეპის ფაქტები. საჩივრები შედის პოლიციაშიც, პროკურატურაშიც, ამის შესახებ საკმაოდ იწერება პრესაშიც.

ვიღაცას ხელები ექავება

გენერალური პროკურატურის კოლეგიაზე ითქვა, რომ სულ 1998 წლის 1 ნოემბრიდან 1999 წლის 1 მაისამდე, პოლიციის მუშაკთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით, ამ უწყების ორგანოებში შევიდა 161 საჩივარი, განცხადება, მასალა. ამავე პერიოდში კონტროლი დაწესებული იყო პრესაში გამოქვეყნებულ 15 ფაქტზე. თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ინსპექციიდან გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა 14, ხოლო თბილისის პროკურატურაში – 28 მასალა. საერთო ჯამში, აღიძრა სისხლის სამართლის 42 საქმე 56 პირის მიმართ. აქედან სასამართლოში საბრალდებო დასკვნით წარიმართა 9 საქმე 11 პირის მიმართ.

საინტერესო დეტალი: მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებზე, ცხადია, შემოწმებების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი ითქვა 87-ჯერ. მაგრამ ზედამხედველმა პროკურორებმა, რომლებმაც ცოტა უფრო ღრმად ჩაიხედეს მოვლენებში, ასეთი „ნაჩქარევი" დადგენილებები გააუქმეს 27-ჯერ. 4-4 ასეთი დადგენილება გაუქმდა იმერეთისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურებში.

თუმცა, ანალოგიური ფაქტები სხვა რეგიონებშიც საკმაოდ მოიძებნება. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის პროკურორის თანაშემწემ ჯ.ვეშაპიძემ შეისწავლა მოქალაქე ვ. ბურდულის განცხადება და წლეულს, 30 მარტს უკანონო, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გამოიტანა ადგილობრივი პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორის ი. აზნაურიშვილისა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსის ვ. სირაძის მიმართ. ეს დადგენილება საოლქო პროკურატურამ გააუქმა. ამავე საოლქო პროკურატურამ გააუქმა სტაჟიორ-გამომძიებლის გ. გრატიაშვილის მიერ ასევე უკანონოდ, დაუსაბუთებლად გამოტანილი გადაწყვეტილება უბნის ინსპექტორ ი. ღრუბელაშვილის მიმართ. უფრო მეტიც, თავად რაიონის პროკურორმა გ. ხიზანიშვილმა საქართველოს გენერალური პროკურატურის 1998 წლის ნოემბრის კოლეგიის გადაწყვეტილება წყალს გაატანა. პილატესავით ხელები მაგრად დაიბანა და პირადი შემადგენლობის ინსპექციას შესამოწმებლად გაუგზავნა განცხადება მოქალაქე ნ. როსტომაშვილისა, რომელსაც პოლიციის მუშაკმა სცემა.

როგორც ჩანს, პროკურატურის მუშაკები ზოგჯერ ზედმეტად „უფრთხილდებიან" პოლიციის დამნაშავე თანამშრომლებს. ჩუღურეთის რაიონში, მაგალითად, პოლიციის მუშაკ ა. ალავიძის მიმართ დადგენილება გამოიტანეს მხოლოდ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის მოკვლევის მასალების საფუძველზე, ისე, რომ საქმის გარემოებათა დადგენის მიზნით, თავად არც ერთი მოქმედება არ შეუსრულებიათ; გარდაბნის რაიონში კი განყოფილების ყოფილი უფროსი მ. ჩიქობავა საერთოდ არ დაუკითხიათ. მსგავსი დარღვევებია მცხეთის, ჭიათურის, ცაგერის, წყალტუბოს, თერჯოლის პროკურატურებში.

ხშირია შემოწმების ვადების გაჭიანურებაც. ეტყობა, ამა თუ იმ პროკურატურაში ძალზე ბევრს ფიქრობენ, რაღაც „გამოსაძვრომს" ეძებენ. ალბათ, არ სურთ პოლიციის მუშაკთა მომდურება.

წალკის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელმა ე. ორუჯევმა ოთხი თვის განმავლობაში არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღო პოლიციის მუშაკ კ. კოსტანიდის მიმართ, რომელმაც მოქალაქე გ. გუსეინოვი გალახა. პოლიციის მუშაკებს ასევე ელოლიავებიან ახალქალაქის, ხაშურის, ზესტაფონის, ჭიათურის, წყალტუბოს რაიონების პროკურატურებში.

ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში უფრო ხშირად გაისმის, წერე და იკითხეო! არ ყოფილა მთლად ასე. პროკურატურის ორგანოებს საგაზეთო პუბლიკაციებში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით აღუძრავთ სისხლის სამართლის ოთხი საქმე. ერთ-ერთი ასეთი საქმეა აღძრული მას შემდეგ, რაც გაზეთ „რეზონანსში" (16 თებერვალი) დაიბეჭდა სტატია „თავისუფლების ინსტიტუტს კიდევ ერთი ჟურნალისტი გაულახეს". ასე რომ, წერეთ, შედეგი არის!

როდესაც ხანდახან პოლიციის მუშაკებს თავად მოქალაქეები შენიშვნას აძლევენ უხეში მოპყრობის გამო, ისინი შეტევაზე გადმოდიან, ჩვენ რა, ცეკვის მასწავლებლები ხომ არ გვგონივართო. მათ გასაგონად ვიტყვით: — ცეკვის მასწავლებლები არა ხართ, მაგრამ არც გლადიატორები ბრძანდებით, რომ ბოროტი მკვლელი და უწყინარი მწყემსი ერთმანეთისგან არ გაარჩიოთ და ორივენი ერთნაირად მიბეგვოთ. დანაშაული, უპირველესად, თავად პოლიციას არ ეპატიება!

ბონდო გულიაშვილი.

გვწერენ

მსჯავრდებულიც ღვთის ქმნილებაა!

ჩემთვის, როგორც აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის დირექტორისა და ჟურნალისტისათვის, კარგადაა ცნობილი, რომ დღეს, საქართველოს ციხე-კოლონიებში სხვადასხვა დანაშაულისათვის ათეულობით აზერბაიჯანელი მოქალაქე იხდის კანონიერ სასჯელს. მათი უმრავლესობა ღატაკი ოჯახის პატრონია, მათ შორის, 6-7-ბავშვიანი დედები და ბებიებიც კი, რომელთაც თავიანთი ოჯახების შიმშილისაგან გადარჩენის მიზნით, საქართველოში გასაყიდად შემოუტანიათ ნარკოტიკული ნივთიერებები (7 გრ-დან 7 კგ-მდე) და ამის გამო მოხვედრილან განსასჯელის სკამზე. მათი უმრავლესობა დიდი ნარკობიზნესით დაკავებული მდიდარი ბოსების მიერ კაპიკებზე წახალისებული და ამის გამო მახეში გაბმული უბრალო ადამიანები არიან (ბოსები კი, რატომღაც, მახეში არ ებმებიან), რომელთა უმრავლესობამაც, ქალებმაც და კაცებმაც, არ იციან არა თუ ქართული, არამედ რუსული ენის არც ერთი სიტყვაც კი და ამის გამო უილაჯონი და თვალცრემლიანნი სხვა ერის წარმომადგენლებს მხოლოდ ჟესტებით ესაუბრებიან. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ სახილველად კი ძალიან მძიმეა.

მე მგონი ამავე მდგომარეობაში, თუ უფრო უარესში არა, არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დანაშაულისათვის იხდიან სასჯელს აზერბაიჯანის ციხე-კოლონიებში.

მათთვის სურსათის მიმტან-მომტანი ნათესავები დიდ სირთულეს აწყდებიან ორივე სახელმწიფოს საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლისას და ვერ უწევენ მათ საჭირო დახმარებას.

ხომ უკეთესი იქნებოდა რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ციხეებში მსჯავრდებულები სასჯელს იხდიდნენ თავ-თავიანთ რესპუბლიკებში. ორ სახელმწიფოს შორის პატიმრების გაცვლა რამდენადმე შეუმსუბუქებდა მათ ყოფას, და ნათესავების დახმარების მეშვეობით გადაურჩებოდნენ ავადმყოფობას (აგრერიგად მოხშირებულ ტუბერკულოზს). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეტაპირება უნდა ხდებოდეს მსჯავრდებულთა თანხმობით, ნებაყოფლობით.

ეს საქმე რამდენადაც უფრო მალე დაიწყება, იმდენად უფრო სასარგებლო იქნება ორივე სახელმწიფოსა და ხალხისთვის, პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც. ამასთან, უფრო განამტკიცებს ხალხების ნდობასა და ძმურ ურთიერთობას, მეორე მხრივ, ეს დსთ სხვა სახელმწიფოებისთვისაც იქნებოდა ჰუმანურობის სამაგალითო ნიმუში.

ბოროტმოქმედიც ხომ ღვთის ქმნილებაა.

მამედ გიულმამედოვი,
აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის დირექტორი, მეცნიერი, ჟურნალისტი, ღირსების ორდენის კავალერი.

კონტაქტები

უკრაინისა და საქართველოს მეგობრობა სამაგალითოა

1792 წლის 1 აგვისტოს უკრაინის პატარა ქალაქ მირგოროდში გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, ქართული ლექსის ერთ-ერთი უპირველესი „გენერალი" დავით გურამიშვილი.

1913 წლის 1 აგვისტოს დაბა სურამში გარდაიცვალა უკრაინის საამაყო ასული, გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ლესია უკრაინკა.

არის რაღაც მისტიკურ-ისტორიული თანხვედრა ამ ორ თარიღს შორის.

წლეულს, 1 აგვისტოს, უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით, ევროპის ამ ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოში პირველად აღინიშნება „დავითობა" — უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის, ძმობის, ურთიერთპატივისცემის დღესასწაული.

შემოდგომაზე, ღვინობისთვეში, ქართველი ხალხი, ასევე პირველად, ფართო მასშტაბით აღნიშნავს „ლესიაობას" — უკრაინისადმი, უკრაინული კულტურისა და ხელოვნებისადმი, უკრაინული ლიტერატურისადმი გულწრფელი სიყვარულის ჭეშმარიტ გამოვლინებას.

უკრაინა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომელმაც არა მარტო ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ ჭეშმარიტი თანადგომა და მეგობრობა აღუთქვა მას, და, რაც მთავარია, ყოველგვარ დანაპირებს ბრწყინვალედ ასრულებს კიდეც.

ამ დღეებში თბილისის აეროდრომზე თვითმფრინავმა ჰუმანური ტვირთი — რამდენიმე ტონა სამკურნალწამლო საშუალება ჩამოიტანა, რომელიც უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტეფანე ვოლკოვეცკის უშუალო მითითებით განაწილდება და, პირველ რიგში, დევნილებს, სოციალურად დაუცველ ჩვენს თანამემამულეებს მოხმარდება.

იყო კიდევ პატარა საგანგებო ამანათი ამ თვითმფრინავში, რომელსაც განსაკუთრებული ფასი და „სულიერი" დანიშნულება აქვს. უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას უშუალო მითითებით საქართველოში მცხოვრები ოცი პირველკლასელი უკრაინელი ბავშვი უფასოდ მიიღებს სამოსწავლო წიგნებს, ყმაწვილთათვის საჭირო მთელ კომპლექტს. პირველი სექტემბრიდან თბილისში, ამ ორი ქვეყნის თანაარსებობის ისტორიაში პირველად იხსნება უკრაინული კლასი, ჯერჯერობით, მხოლოდ ოციოდე ბავშვისთვის.

მოვუსმინოთ უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორს, დ. გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს, უკრაინის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს **რაულ ჩილაჩავას.**

— საქართველოში დაახლოებით 50.000 უკრაინელი ცხოვრობს. ისინი, ძირითადად, გაერთიანებული არიან საქართველოს უკრაინელთა ასოციაციაში და მშვენივრად იცავენ მშობლიური ენის, კულტურის, ეთნოგრაფიული ყოფის ნორმებს. საბედნიეროდ, „ქართველი" უკრაინელები ძირითადად შერეულ ოჯახებში ცხოვრობენ და წლების განმავლობაში შესანიშნავად შეეგუენ ქართულ გარემოს. თუმცაღა, სუფთა უკრაინული ოჯახებიც ბევრია თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში, კახეთის მხარეში... უკრაინელებისა და ქართველების მეგობრობა გამორჩეული და უხინჯოა. შარშან, როცა თბილისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა კიევში დაბრუნდა, რამდენჯერმე ხაზგასმით (პრესით, ტელევიზიით) უთხრა საკუთარ ხალხს: საქართველო ჩვენი საიმედო სტრატეგიული პარტნიორია, საქართველო კასპიის აღრეული ნავთობის ტრანსპორტირების წამყვანი ქვეყანაა, საერთაშორისო აბრეშუმის გზის ფუძემდებელი სახელმწიფოა და, პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივით, თბილისში მალე უკრაინული კლასიც გაიხსნებაო... სწორედ ამ კლასის პირველი მსმენელებისთვის ჩამოვიტანეთ წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. მთელი უკრაინა დარწმუნებულია, რომ უახლოეს ათ წელიწადში თბილისში სრულყოფილი უკრაინული სკოლა ჩამოყალიბდება და „ქართველი" უკრაინელები, სურვილის მიხედვით, აქაც მშობლიურ ენაზე ისწავლიან.

— კიევში ხომ არ არის მოსალოდნელი ქართული კლასის გახსნა?

— დარწმუნებული ვარ, თუ მოვინდომებთ, დიდი მხარდაჭერა გვექნება. ამის თავდებად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გაიხსნა ქართველოლოგიის სპეციალობა. აქ უკვე 12 სტუდენტი სწავლობს. პირველ ორ კურსზე ისინი შეისწავლიან ქართულ ენას, მესამე კურსიდან კი განზრახული გვაქვს საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ენისა და ლიტერატურის კურსი მთლიანად ქართულ ენაზე წავუკითხოთ. დღეს უკრაინაში მოღვაწეობს ორი ქართველი და სამი უკრაინელი მეცნიერი, რომლებმაც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ქართულ თემებზე დაიცვეს. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანია თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი, ცნობილი ქართველოლოგი **გრიცკო ხალიმონენკო.**

მცირე გადახვევა: გუშინდელ დღესავით მახსოვს, ამ 25 წლის წინათ, ჩვენი დედაუნივერსიტეტის დოცენტი, შესანიშნავი ენათმეცნიერი და პოეტი ნია აბესაძე (ნოდარ დუმბაძეს საოცრად მოსწონდა მისი სიტყვები: „დედამიწაზე არ არის წუთი, სადმე მზე რომ არ ამოდიოდეს!) როგორ დაატარებდა უნივერსიტეტიდან სახლში, სახლიდან ექსკურსიებზე, ექსკურსიიდან მუზეუმში ერთ მაღალ გამხდარ, ქერა უკრაინელ „შვილობილს" გრიცკო ხალიმონენკოს. ნია აბესაძის მონდომებით მან ერთ წელიწადში საყველპურო ქართული ისწავლა, ორ წელიწადში — წერა კიდეც, მესამე წელიწადს კი — ქართული ზმნის უღლება აღარ ემლებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, უკვე გაქართველებული გრიცკო მეგობრებმა ზუგდიდში წაიყვანეს საქეიფოდ. იქ, ძირითადად, მეგრულად ლაპარაკობდნენ და „გადაავიწყდათ" სტუმრის გაფრთხილება. თავაზიან გრიცკოსაც არაფერი უთქვამს. უკან დაბრუნებისას, როცა მატარებელი სამტრედიაში გაჩერდა და ყველა ისევ ქართულად ალაპარაკდა, გრიცკომ ხელები გაშალა და სიხარულით წამოიძახა — ო, როგორ მომენატრე, მშობლიურო კარტულო!..

აი, ეს კაცი არის ახლა კიევის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი და უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებს იქ, მოძმე უკრაინაში.

— ბატონო რაულ, უკრაინის ქართული დიასპორა როგორ ცხოვრობს?

— რა გითხრათ, რით გაგახაროთ. ზოგი — ნორმალურად, ზოგიც — წვალებით. სხვათა შორის, აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ, უკრაინას მრავალი დევნილი შეეხიზნა. დღეს უკრაინის ქართული დიასპორა 55-60 ათას კაცს ითვლის. მეგობარი უკრაინელი ხალხი, ქვეყნის მთავრობა, ჩვენი კომიტეტი, ყველაფერს აკეთებენ დევნილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ ეკონომიკურად უკრაინასაც საქართველოსავით უჭირს და, რა გასაკვირია, რომ უკმაყოფილონიც გვყავდეს, — დევნილის ხვედრი ხომ საკუთარ სამშობლოშიც მძიმეა.

— ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობანი თქვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი სფეროა. ახალი რა არის ამ ურთიერთობაში?

— დავწერე და გამოვეცი სოლიდური მონოგრაფია საქართველო-უკრაინის ლიტერატურულ ურთიერთობებზე XX საუკუნის 20-70-იან წლებში. ვთარგმნე და უკრაინულად დავსტამბე, აგრეთვე, ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია. ეს ნაშრომი საფუძვლად დაედო ჩემს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიაში შედგა. მკითხველის მოწონება დაიმსახურა ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას რჩეული ლექსების ჩემეულმა თარგმანებმა. გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციამ უკვე მოახერხა აკაკის, გალაკტიონის, ტიციანის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეების გამართვა. დავაარსეთ დავით გურამიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია, რომელიც ყოველწლიურად მიენიჭება მსოფლიოს ხუთ გამოჩენილ ადამიანს ლიტერატურის, ხელოვნების და საერთაშორისო ურთიერთობათა (დიპლომატიის) დარგში. აქედან, ერთი უკრაინელი იქნება, ერთი — ქართველი, დანარჩენი სამი — ნებისმიერი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი.

რაულ ჩილაჩავამ თავისი ახალი ლექსების პუბლიცისტური ჩანაწერების, უკრაინულად თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრების კრებული მისახსოვრა. გულით გავიხარე, როცა შევიტყვე, რომ საელჩომ მას „ქართველი უკრაინელებისთვის ზღაპრების სწორედ ეს წიგნი შეუკვეთა. რამდენიმე დღეში ჩავა ჩვენი კულტურის ღირსეული დესპანი რაულ ჩილაჩავა დიდი უკრაინის დედაქალაქში და იქიდან მშვენივრად დასურათხატებულ ქართულ ზღაპრებს, მცირე ლექსიკონითურთ, გამოუგზავნის შემკვეთს. ფუტკარივით მშრომელი და დაუდეგარი, ნიჭიერი კაცი რაულ ჩილაჩავა მთელ საქართველოს ეიმედება მოძმე უკრაინაში...

ახლა კი, მას ძალიან ეჩქარება, სტეფანე ვოლკოვეცკისთან ერთად თბილისში აეროპორტში გარბის, ჰუმანური ტვირთი უნდა მიითვალოს...

სპარტაკ ძობულია.

სურათებზე: რაულ ჩილაჩავა; ქართული ზღაპრების წიგნის გარეკანი; დავით გურამიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემიის დიპლომის სუპერი.

გახსენება

კაცი, რომელიც არა მარტო ქალაქს დააკლდა

გიორგი ბესთაუთი მწერალთა ოჯახს დააკლდა 20 წლის წინათ, მარტო ოსურს კი არა, ქართულსაც. მან ხომ ლექსების წერა თავდაპირველად ქართულად დაიწყო და მერე გადავიდა ოსურზე.

„მზე — წითელი ბროწეული —
მტკვარს ზედ თავზე ეკიდა,
და გარშემო ლივლივებდა
ოქროდ ჩამოღვენთილი,
და თბილისი გაზაფხულით
სიმღერით და ცეკვითა
ასე ჩამრჩა მე ხსოვნაში —
ლამაზი და კეთილი".

ვინც არ იცის, ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი, ალბათ, ვერ მიხვდება, რომ იგი არაქართველის დაწერილია ქართულად.

გიორგი ბესთაუთმა დაწყებითი სკოლა ოსურ მთიან სოფელში დაამთავრა. ბარში რომ გადმოსახლდნენ და ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში უნდა განეგრძო სწავლა, ქართულად ერთი სიტყვაც არ იცოდა. სკოლის დირექტორმა ვახტანგ კასრაძემ „გულღიად გამიცინა და კეთილი ლურჯი თვალებით ცასავით დამხედა ზემოდან, — იგონებს გიორგი ბესთაუთი ავტობიოგრაფიაში, — იმ დღემ ჩემზე სასწაულივით იმოქმედა. მე კი ვიგრძენი, რომ იმ ცას დაფასება უნდოდა, რომელმაც ნდობის ესოდენ დიდი მადლი გადმომაღვარა"... „ერთ დღეს იხილავ მაღალს, კაცურ კაცს, გაიხარებ და ზეცას ეწევი" — ბევრჯერ გაიჟღერებს მსგავსი სტრიქონები შემდგომ მის შემოქმედებაში.

1952 წელს გაზეთმა „საბჭოთა ოსეთმა" ქართულად დაწერილი გიორგი ბესთაუთის რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა და ამ მომენტმა მისი მომავალიც განსაზღვრა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე სწავლისას, როგორც მისი თანაკურსელები იხსენებენ, გიორგი ბესთაუთი გამოირჩეოდა სიბეჯითა და ერუდიციით, ქართული ენის მდიდარი ლექსიკით, ძარღვიანი სიტყვით. ამასთან, როგორც ჯანსულ ჩარკვიანი წერს, „უპირველესი და მთავარია, პოეტი იყო შენს მშობლიურ ენაზე. რომლის შეხსენებაც არ სჭირდება გიორგი ბესთაუთს". მან მშობლიურ ენაზე მრავალი პოეტური ქმნილება უძღვნა თავისი ხალხის წარსულს, მის ისტორიას, აწმყოსა და მომავალს.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გამოსცა პირველი ლექსების კრებული ოსურად, მას კი მოჰყვა ქართულად კრებული „გული მართალი".

ლექსების წერასთან ერთად თარგმნიდა კიდეც ოსურიდან ქართულად და პირიქით. თარგმნა ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ლეონიძის ლექსები.

1977 წლის აგვისტოში ქართველი და ოსი მწერლების შემოქმედებით შეხვედრაზე ჯანსულ ჩარკვიანმა, შეეხო რა ბესთაუთის მთარგმნელობით ღვაწლს, აღნიშნა: „იგი ჩინებული მოქართულეა და როცა მე პირადად მითარგმნია, თუმცა, დიდი სიყვარულით, მაინც ერთგვარი შიშით მიფიქრია, ვაითუ ავმორლე მის ოსტატურად მოქნეულ სიტყვას და დავაკნინო შესანიშნავი პოეტის შემოქმედება".

დიდხანს ემზადებოდა, ვიდრე კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედების ქართულად თარგმნას დაიწყებდა. გერმანულიდან თარგმნა, აგრეთვე, გოეთესა და შილერის ნაწარმოებები. და მაინც, მისი მთარგმნელობითი შემოქმედების გვირგვინი გახდა „ვეფხისტყაოსნის" ოსური თარგმანი. „გიორგი ბესთაუთი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ერთადერთია თანამედროვე ოს პოეტებს შორის, რომელიც შეძლებდა ამ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საქმის უნაკლოდ შესრულებას", — ეს სიტყვები ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, მწერალ ნაფი ჯუსოითს და თითქოს მისი სიტყვების პასუხია ბესთაუთის პოეტური სტრიქონები:

„ჩქარ მდინარეზე გადის ჩვენი გზა
და ფონის ძებნა არის სირცხვილი,
ზოგის წისქვილი მხოლოდ მღერის და
ოქროს ფქვავს, ძმაო,
ზოგის წისქვილი".

ფონი არასოდეს უძებნია არც ცხოვრებაში, არც შემოქმედებაში. ათი წელი მოანდომა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას და შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა. დაუფასდა კიდეც ნაღვაწი, ივანე მაჩაბლის პრემიის პირველი ლაურეატობა ხვდა წილად.

ჯერაც ბოლომდე არ განეცადა მიღწეულით ტკბობა, რომ დანაღვლიანდა პოეტი.

„მაშ, გაზაფხულზე, ჟამს ყვავილობის,
რაღა დიდ მუხას ეცემა მეხი?"

— წინასწარმეტყველურად აჟღერდა პოეტის სიტყვები. უკვე სარეცელზე მიჯაჭვული მაინც არ თმობდა კალამს, რეალობას თვალებში უმზერდა და მისი პოეტური შემოქმედება ახალი ნიმუშებით მდიდრდებოდა.

„მარად აუცდომელი ვიცან ხელი მსახვრალი,
ვხედავ, როგორ მომელის შავი მიწის ნაპრალი.
ღამევ, ჩემო გადიავ, მეც შენსავით ვილევი,
ყველაფერი ცხადია, ვიცი დანამდვილებით.
არ მოვითხოვ ნუგეშინს, გთხოვთ, თავი ზე ასწიოთ,
ჩემთა თვალთა გუგებში უნდა ჩამოგამწკრივოთ".

1978 წლის ივლისის ბოლოს 46 წლისა ზღვა ყვავილებითა და ალალი ცრემლით გააცილეს უკანასკნელ გზაზე ცხინვალელებმა, ჩამოსულმა მეგობრებმა გიორგი ბესთაუთი.

„თხემით ტერფამდე პოეტი იყო და რაინდი, — დაწერს მისი გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავზე ჯანსულ ჩარკვიანი, — თხემით ტერფამდე ოსი იყო და გამორჩეული მეგობარი. მიუკერძოებლად ესმოდა სხვათა გასაჭირი, თესლა და თესდა მშვენიერებას". ცოტა მოგვიანებით მერაბ ელიოზიშვილი მიმართავდა გულიდან წამოსული სიტყვებით:

„ძმურ კავკასიურ მთათა წნულის უღრუბლო, უბოროტო, უპირქუშო, ნიადაგ სახემცინარ მთათა შვილს, ჩემს ძმას, სათიხარის გოგიაანთ კარელ ბიჭს, ცხინვალის ერთი საყვარელი უბნის — მამისაანთ უბნის ფალავანს, ძერე მთელი ცხინვალის სათაყვანებელ ქართულ-ოსურ ფალავანს, თანასკოლელს, თანამერხელს, თანამოძმეს, თანამოკალმეს, თანამოაზრეს თანა და თანას ვამბობ და სადღაა „თანა" — აბა, ჩვენო გიორგი! ეგლახ, რომ ეღარა ჩვენ-თანა! შენ-შენს მამა-პაპათა ძელებთანა!

შენი ლექსი და საქმე-შენი, ჩვენთანა, ბიჭო გიო, სამარადჟამოდ ჩვენთანა!

მეუღლე შენი და მეგობარი, ცალად რომ დატოვე, დაი ჩვენი სალიმა! რამდენი ხანია აღარ მომინახულებია, აღარ მინახავს შენი ალი და კვალი, შენი ვეფხვა-ბიჭი, აღარც ტანკენარი ქალიშვილი შენი".

ამ სტრიქონების გამოქვეყნებიდან მთელი თხუთმეტი წელიც გავიდა. სალიმათი კვლავ ერთგულად ეწევა მეუღლის დანატოვარი ოჯახის ჭაპანს, შვილები დაზარდა, გზაზე დააყენა, დააოჯახა და ახლა ოთხ შვილიშვილსაც ზრდის, რომელთაგან ერთი პაპის მოსახელეცაა — გიორგი!

„ხვალ მოვა ჩემი შთამომავალი
და გააგრძელებს სიცოცხლეს ჩემსას,
დამემსგავსება მერე მრავალი,
ჩემი სიმართლე ექნებათ ხემსად".

ბევრი წინასწარმეტყველური სტრიქონი ჰქონდათ პოეტურად ჩამოქნილი გიორგი ბესთაუთს და ღმერთმა ქნას, არც ამ სტრიქონებში ემტყუნოს ალღოს, ევლოს მის შთამომავალს წინაპრის დანატოვარი მართალი კაცის გზით.

ციალა კახნიაშვილი,
„სრ" საკ. კორ.

სურათზე: გიორგი ბესთაუთი და მისი ქალიშვილი ზალინა.

კონტაქტები

ქართული ფილოსოფიური წელიწდეული რეგისტრირებულია საერთაშორისო ცენტრში

დარგობრივი აკადემიების დაარსება დრომ მოიტანა. დარგობრივ აკადემიებს შორის თავისი ადგილი აქვს მიჩნეული საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც 1995 წლის ნოემბერში დაფუძნდა. ამ მოკლე დროის განმავლობაში აკადემიამ არაერთი მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო და წარმატებითაც გაართვა თავი მათ.

აკადემიის საქმიანობაში მაინც უნდა გამოიყოს ფილოსოფიური წელიწდეულის — „ფილოსოფიური ძიებანი" — დაარსება. უკვე გამოვიდა წელიწდეულის სამი მრავალფორმიანი წიგნი (I-1997 წ. 336 გვ; II — 1998 წ; 304 გვ. III — 1999 წ; 382 გვ.). სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ წელიწდეული რეგისტრირებულია ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში, როგორიცაა — ფილოსოფიური დოკუმენტაციის საერთაშორისო ცენტრი (აშშ).

სულ ახლახან ცენტრის დირექტორმა ბობ თომპსონმა წერილი გამოუგზავნა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, პროფესორ სერგი ავალიანს. მასში, კერძოდ, ნათქვამია: **„ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ ფილოსოფიისა და ფილოსოფოსების საერთაშორისო ცნობარი 1999-2000 წ.წ. (XI გამოცემა) უკვე წარმატებით გამოქვეყნდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ყველა მიმართულებით გაუმჯობესებულია. როგორც უკვე იცით, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია და თქვენი ჟურნალი „ფილოსოფიური ძიებანი" ამ ცნობარში ფიგურირებს, ისევე როგორც იმ სწავლულთა რიცხვი, რომლებიც თქვენს აკადემიაში შედის. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიძღვნით თანამშრომლობისათვის და საერთაშორისო ცნობარისათვის ინფორმაციის მოწოდების გამო.**

მოგილოცავთ თქვენს გამოცემას და გისურვებთ საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წარმატებული მუშაობის გაგრძელებას".

საქართველოს რესპუბლიკა
№204-205. კვირა-ორშაბათი, 1-2 აგვისტო, 1998 წელი

სახეები და სილუეტები

ნიუ-იორკი კინოში და ნამდვილი ნიუ-იორკი...

დრამატურგის ჩანაწერები

ნამდვილი ნიუ-იორკი ისე ჰგავს კინოში წარმოსახულ ნიუ-იორკს, როგორც მონა ლიზა გარგანტუას. ამერიკელები შრომობენ, ზედმიწევნით იცავენ იურიდიულ თუ ზნეობრივ კანონებს. კანონი ბატონობს მათზე, ალბათ, ამიტომ იზიდავთ ასე ილუზორული სამყარო, რომელსაც კინო სთავაზობს. სენტიმენტალური ან სისხლიანი სიუჟეტი ის არის, რასაც მათს მონოტონურ ყოველდღიურობაში სიახლე შეაქვს. ალბათ, ამიტომ იქმნება ამერიკული ცხოვრების წესისაგან განსხვავებული ფილმები ამერიკაშივე. ისინი ყოველდღიურობაში ერთობ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, კინოში კი... კინოში, საბჭოთა ჯარისკაცებისა არ იყოს, ტყვიამოუხვედრელი გმირები, გულადი პოლიციელები — ყველა გასაჭირში გამარჯვების მომპოვებელნი. არადა, წუხელ წავიკითხე გაზეთში: ვიღაც ნავით გასულა ოკეანეში, ქარი ამოვარდნილა. მენავე გასაჭირში ჩავარდნილა, მიშველეთო, აუტეხნია განგაში, ორი საათი არავინ მიაქცია ყურადღება და დაიღუპა ის საბრალო! კინოში როგორ გააზვიადებდნენ ამ სიუჟეტს! ვაჟკაცობის რა სცენები იქნებოდა!

ამ მსოფლიოს წესრიგის ორგანიზატორ სახელმწიფოში უცნაურ საუბარს მოისმენ:

— რომ დაღამდება, მეტროში არ ჩახვიდე, საშიშია!

— რატომ?

— დაღამების მერე მეტრო ზანგებისაა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

ან:

— ჰარლემში გამიყვანე, — ვეუბნები ერთ ნაცნობს.

— საშიშია, ჰარლემი ზანგებისაა!

— მანქანა არ გავაჩეროთ, ისე გავიაროთ!

— მაინც დაგვაზიანებენ, მე არ წაგიყვან, არც შენ გირჩევ.

— ბიჭო, ამერიკა ქვეყნიერებას ერევა და მეტროსა და ჰარლემს ვერ მოუარა?!

— მეტროც ისეთია და ჰარლემიც, როგორიც იმათ უნდათ, ვინც ქვეყნიერებას ერევა — აქ ყველას თავისი ადგილი და მისია აქვს, — იცინის მოსაუბრე — თუმცა... თუმცა, მათ არც ჰარლემი სჭირდებათ, არც მეტრო.

* * *

— ებრაელებს ვერ უშველით ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება — თქვა ერთხელ.

თავად ასიმილირებული იყო და ებრაელების ასიმილაციას უჭერდა მხარს. ებრაელების ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებად არა ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში დაბრუნება, არამედ ასიმილაცია მიაჩნდა.

როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ეს კაცი, ვინ დაწერა ეს სიტყვები? თეოდორ ჰერცლმა — ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მესაძირკვლემ. სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ კი სრულიად საპირისპირო თეზა: ყველა ებრაელის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება არისო და ეს მოსაზრება ისტორიული მნიშვნელობის მქონე წიგნში — „ებრაელთა სახელმწიფო“ — ჩამოყალიბა. დაიწყო კიდევ ტიტანური ბრძოლა ებრაელთა ეროვნული კერის აღდგენისათვის.

მოლაყბენი, სხვათა თვალში ბეწვის დამნახავნი მაშინაც ისევე იყვნენ, როგორც დღეს არიან: ორიოდე წლის წინათ რომ ასე წერდი, ხომ არ დაგავიწყდაო, აუხირდნენ, აქილიკებდნენ. მაშინ თქვა: მხოლოდ იდიოტები და მიცვალებულები არ იცვლიანო აზრს. ასე იყო თუ ისე, დაიწყო ტიტანური ბრძოლა ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენისათვის.

საიდან, როგორ, რამ ჩააგონა ეს აზრი, რამ მისცა ასეთი ძალა ებრაელებისადმი ზურგშექცეულ, უზრუნველ ყოფას მიჩვეულ, პარიზისა და ვენის ლამაზმანების წრეებში ლენდად, სასურველ სტუმრად მიჩნეულ კომედიების ავტორს — თეოდორ ჰერცლს?!

ეს ამბავი კიდევ ერთხელ მარწმუნებს: არა-რა არ იქნება ღვთის ნების გარეშე. ღმერთმა მისცა ასეთი ტიტანური ძალა, მანვე შეაძლებინა დაენახა მომავალი:

— თუ ყველა ებრაელი მოვინდომებთ, ებრაული სახელმწიფო 50 წელიწადში აღდგებაო, — თქვა 1897 წელს.

1947 წელს გაერომ მიიღო დადგენილება პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

* * *

არის შემთხვევები, რომელიც მეხსიერებაში ილექება და მუდამ თან დაგდევს. შესაძლოა, იმ შემთხვევის მონაწილე არც ყოფილხარ, მაგრამ რომ აგიწერენ, ყველაფერს დაწვრილებით რომ გიამბობენ, თითქოს იქ იყავი, თითქოს ყველაფერი თავად გენახოს: ერთმა საბრალო დიაცმა პასკვილი გამომიცხო — ბოლმის კორიანტელი დააყენა. ამით აღშფოთებულმა რამდენიმე ებრაელმა რედაქციას წერილი მისწერა: ის დედაკაცი ცილისმწამებელია, ჩვენ თავად მონაწილე ვართ მაგ ამბებისა და კარგად ვიცით ყველაფერიო.

დაუყოვნებლივ შეიკრიბა ინსპირატორთა დასტა, იყვირეს, ივიშვიშეს. როგორ შეიძლება ეგ პასუხი დაიბეჭდოს, გაზეთი ებრაელობის დაპირისპირებას ხელს უწყობსო (უბრალო საქმე ხომ არ იყო — დიდხანს ნაფიქრ-ნალოლიავები საქმე ემლებოდათ!), გადაწყვიტეს ებრაელობის სახელით რედაქტორს დაურეკონ, გ. ბათიაშვილის გამამართლებელი წერილი არ დაბეჭდოთ, კოლექტიური წერილების წერა ხომ საბჭოური წესიაო.

ცხადია, მე იქ არ ვიყავი, შეთქმულება, ცხადია, ჩემს ზურგს უკან მზადდებოდა, მაგრამ ყველაფერი ისე დაწვრილებით მიამბეს შეთქმულების მონაწილეებმა (!), ეს საძაგელი სურათი თვალწინ მიდგას. ცხადია, რედაქტორს ცნობილმა კაცმა უნდა დაურეკოს. აჰა, აგერ არ არის? მწერალი, ხელისუფლებაში გასული! ისიც მსუბუქად ღიმილით მიდის ტელეფონთან, ამ ცნობილ კაცს სწავლული ამოუდგება გვერდში — ამასაც სურს ცნობილთა შორის იყოს, ავტორიტეტია! კიდევ ვიღაც დგება რიგში, კიდევ ვიღაც... სახელოვან რედაქტორთან გაბაასება, საკუთარი თავის დაფიქსირება სწადიათ. რედაქტორი, თავაზიანი კაცია და ებრაული საზოგადოებრიობის სახელით მოლაპარაკეთ პასუხობს: „როგორ გეკადრებათ... გიცნობთ...“ ამათ კი უხარიათ, „მიცნობს, აბა რა!“ მომდევნო დღეებში კი რედაქტორი მეტყვის: „რახან ებრაელები ასე აღარ ინდობენ ერთმანეთს, ქვეყანა მართლა ძალიან არეულა“.

რატომ არის ეს სურათი საძაგელი?

ეხლავ წელში მოხრილ, პირმოთნედ მომღიმარ რამდენიმე ებრაელს, რედაქტორს ასე დაბეჯითებით რომ არწმუნებენ, კოლექტიური წერილების ბეჭდვა საბჭოური გადმონაშთიაო (სინამდვილეში თავიანთი მუცლის გვრემა აწუხებთ!), თან თავიანთ თავს რომ აფიქსირებენ.

რა ექნა, ჩემო „ინტელიგენტო“, ასე რიგ განსწავლულო და გამობრძმედილო „მეგობრებო“, თქვენ რომ ზნეობაზე, ერისშვილობაზე, ეროვნულ ღირსებაზე ლაპარაკობთ, ეს სურათი თვალწინ ცოცხლდება და სული ყვირის: — შიშველია, მეფე შიშველია!

* * *

მანჰეთენი, ბრუკლინი, ქვინსი, ჰარლემი, ბრონქსი — უბნები, რომელთაგანაც შედგება ნიუ-იორკი. ქვინსი ნიუ-იორკის გულშია მოქცეული, ბრუკლინი და მანჰეთენი — ოკეანის ნაპირას. რეგო პარკი ქვინსის ცნობილი უბანია, მეტროდან მაღლა რომ აუყვები გზას, რამდენიმე ქუჩას გადაჭრი თუ არა, ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთს (სინაგოგას) მიადგები. ქართველი ებრაელობა ნიუ-იორკში 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იყრის თავს. დღეს ხუთასამდე ოჯახია. უმთავრესად ქვინსში ცხოვრობენ. ჯერჯერობით მათი არა მხოლოდ რელიგიური, კულტურული ცენტრიც ბეით-ქნესეთია. აქ ეწყობა სხვადასხვა სახის საქმიანი, თუ სადღესასწაულო შეხვედრები. დიდებული ნაგებობა აუგიათ, შესანიშნავი! აქამდე არაფერი მინახავს მის მიერ დაპროექტებული, მაგრამ თუ ამ ბეით-ქნესეთის მიხედვით ვიმსჯელებთ, სოსო ჯინჯიხაშვილი ჩინებული, ერთობ გემოვნებიანი არქიტექტორი უნდა იყოს. ამ ბეით ქნესეთის აგებამაც გამოავლინა ქართველ ებრაელთა ნიჭიერება, რწმენის ერთგულება, გარჯილობა. ზოგიც ამათგანი 20 წლის წინათ ჩავიდა ნიუ-იორკში, ზოგიც — 20 თვის წინათ. ცხადია, სხვადასხვაგვარად ცხოვრობენ, სხვადასხვანაირია მათი დამოკიდებულება აშშ-სადმი: ზოგი მიიჩნევს, რომ სამოთხეშია, ზოგს კი ჰგონია საპყრობილედან საპყრობილეში მოხვდიო. ასე მეტწილად ისინი ფიქრობენ, ვინც კანონისადმი მორჩილებას, კანონისადმი ინდივიდუალურ დამოკიდებულებას არჩევენ. ეს ცხოვრების გამოცდილი წესია — ჩვენშიც ბევრი ცხოვრობს ასე. სწორედ, კანონი აიძულებდა, თუ აიძულებს ადამიანებს კანონის გვერდის ავლით ცხოვრებას. ამერიკა კი ამას არ გპატიობს. ამიტომ არის ძლიერი სახელმწიფო.

სინაგოგის კულტურულ ღონისძიებათა სულისჩამდგმელი ქალთა საბჭოა, მისი ხელმძღვანელი ლამარა მეგრელიშვილი — დიდი ენთუზიასტი, ერთობ კეთილგანწყობილი და კეთილმსურველი. მას უხარია კარგ საქმეთა მოთავეობა, ე. ი. ბუნებით მოღვაწე ქალია და სხვებსაც იოლად იყოლიებს.

აქვე სადღაც არის ერთი ჩინებული მხატვრის — უფრო სწორად ორი მხატვარი ქალის სახლი: დები ალელიშვილების ოჯახი სულისმოსათქმელი ოაზისია. ამ მშვენიერი ნახატების გარემოში შეუძლებელია ცხოვრების მძიმე ტვირთი არ მოგეხსნას, რადგან შემოქმედება შვებაა, შვებაა არა მხოლოდ შემოქმედისათვის, იმისთვის, ვინც მას განიცდის. სწორედ ეს არის შემოქმედი ადამიანის გამარჯვება: თუ მისი ნააზრევი, ნაღვაწი ვინმეს სულიერ სიხარულს მოჰგვრის, იგი ბედნიერად გრძნობს თავს.

ეჰ, შორია, აქედან ერთობ შორსაა საქართველო, ქვეყანა, რომლისთვისაც ღმერთს ის მიუცია, რაც ღმერთს ძალუძს მისცეს წილხვედრს, მაგრამ ჩვენ, ადამიანები?

* * *

არიან ადამიანები, რომელთა ამოსაცნობი ნიშანი ღიმილია. მათი გახსენებისას, ან მათზე საუბრისას, უწინარესად, მათს სახეზე გადაფენილი ღიმილი წარმოგვიდგება თვალწინ.

ასეთი ღიმილის კაცია თემურ იოსებაშვილი. მისი ღიმილი, არა საქმიანი, თავაზიანობის გამომხატველი, არამედ ერთობ ბუნებრივი, მისი შინასამყაროს ადეკვატური ღიმილი, მომხიბლავია. ამით წვდები ამ ადამიანის არსს — უშუალო, გულწრფელი, გულისყურიანი — ასეთია თემური — თავის ხალხზე — ქართველ ებრაელობაზე შეყვარებული ადამიანი, აგერ ლამის ოცი წელიწადია ნიუ-იორკში ცხოვრობს (ადრე, ისრაელში, ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, იქ ქართული პრესის შექმნის სათავეებთან იდგა) და სანთლით დაეძებს ყველაფერს, რაც ქართველ ებრაელობაზე დაწერილა. აინტერესებს თავისი ერის წარსული, დღევანდელობა, განსაკუთრებით ის, თუ როგორ ყოფაშია საქართველოს ებრაელობა, აქვს ერთი იშვიათი (ჩვენში!) თვისება — ახარებს თავისი ერის შვილთა წარმატება, მიღწევა. ეს კი იმის დასტურია, რომ ნიჭიერია, თავად სულიერებითაა სავსე. სულიერად განძარცვულ ადამიანებს სჩვევიათ „მწუხარება სხვათა სიხარულის“ გამო.

თუ ვინმეს სურს პატივისცემა გამოხატოს თემურ იოსებაშვილისადმი, მიართვას მას საქართველოზე, ქართველობაზე, საქართველოს ებრაელობაზე დაწერილი წიგნი, იქნება ეს სამეცნიერო, თუ მხატვრული. ბიზნესმენმა კაცმა ისე კარგად იცის ყველაფერი ამის ფასი, შეიძლება ოქრო არა, მაგრამ ასეთი წიგნი კი გამოგტაცოს ხელიდან.

თემურიცა და მისი მეუღლეც — ასევე უშუალო მარინა — მეგობრების წრეში, ლხინში უნდა ნახოთ, ყოფითი სიამოვნების ბუნდოვან სამოსში ხვევს ამ სინამდვილეს. თემური კი... თემური სერიოზულად წერს იმაზე, რაც ქართველ ებრაელობას, მათ შორის, აშშ-შიც უნდა აწუხებდეს და არ აწუხებს. მე ვგულისხმობ ქართველ ებრაელობას და არა აშშ ქართველ ებრაელობას, — საზოგადოებრივი პრობლემებისაგან განდგომა, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ზურგისქცევა ჩვენი საერთო სენია. საოცარია, იცვლებიან თაობები, იცვლება საცხოვრებელი გარემო, სოციალურ-პოლიტიკური პირობები, ჩვენ მაინც გათითოკაცებული ვართ, არ ძალგვიძს ერთად დავსხდეთ და ვიფიქროთ ჩვენს პრობლემებზე. ლიდერომანია პრიმიტივიზმის დამახასიათებელი ნიშანია. ამაზე საუბრობს თემურ იოსებაშვილი და ვგონებ, ახლოვდება (თუ ბრუნდება?!) ის დრო, როცა ფინანსისტები, ბიზნესმენები, ეკონომიკურად ძლიერი ადამიანები უნდა ჰკიდებდნენ ხელს ეროვნულ საქმეს. ინტელექტუალური პოტენციალი პლუს ეკონომიკური პოტენციალი პლუს სურვილი საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრებისა, უსათუოდ მოიტანს სასიკეთო შედეგს.

გურამ ბათიაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

სურათზე: „1832 წლის“ პრემიერა სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის თეატრში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

ზაფხული თბილისში

როცა ჩრდილშიც 34 გრადუსია.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

რეცენზია

დაცემის ცოდვა

ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“

„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ბიბლიიდან მომდინარე პარადიგმაა და მისი შინაარსი ცნობილია, მაგრამ მაინც განვმარტოთ: ღმერთმა ძმის მკვლელი კაენი დასწყევლა — ქვეყანაზე კვნესითა და ძრწოლით სიარული მიუსაჯა, კაენმა სთხოვა ღმერთს: **„ყოველმან მპოვნელმან ჩემმან, მომკლას მე“**-ო. უფალი არ დათანხმდა, რადგან შენს ცოდვას ახლა სხვა იტვირთებს და იმის სისხლი დაიღვრებაო. ე. ი. კაენის ცოდვა გრძელდება მთამომავლობით!...

...ზოსიმე მღვდელი ქაიხოსრო მაკაბელს მოაგონებს, რომ მან უდანაშაულო თათარი დაჭრა და ანას სახლიდან გააგდო, თვითონ კი თათრის ადგილი დაიკავა, ამიტომ „ვინც მოეკლას და ვინდა მოკელა გდომებია“, სულ ერთიაო — „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“ — თქვა ზოსიმე მღვდელმა... —რათა? მე რომ არავინ არ მომიკლავს?! — დაიბნა, გაცხარდა, დაფრთხა ქაიხოსრო (რომანის 1981 წლის გამოცემა, გვ. 287). ასე ცდილობს სხვისი გვარითა და ჩინით, სხვისი ცოლით შექმნილი ოჯახისა და საკუთარი თავის გადარჩენას ცრუ ქაიხოსრო მაკაბელი, რომლის გალავნიანი და რკინის ალაყაფიანი სასახლე ურუქში „საძირკველშივე იყო დამპალი და საძირკველიდან ედებოდა ყროლის სუნი“ (გვ. 299).

ცრუ მაკაბელის ცოდვის გამოსყიდვა გერმა გიორგამ იკისრა.

გიორგა მამინაცვალს პირდება: შენ არხეინად იყავ, მე მოვკლავ იმ ურჩხულსო (იგულისხმება განდევნილი თათარი), გიორგი ჩემთვის ტყუილად არ დაურქმევიათო. — „გიორგობას თუ იჩემებ, ან უნდა მოკლა ის შენი თათარი ან უნდა მოეკვლევინო. ესაა შენი ვალიო“, — უთხრა მაიორმა გიორგას.

ასე იქცა ანას პირველი სიყვარულის ნაყოფი განტევების ვაცად. და განა მარტო გიორგა? მაკაბელთა მთელი მოდგმა (პეტრე, ნიკოლოზი, ალექსანდრე, ანეტა, თვით ანა და სხვები) მეტ-ნაკლებად იზიარებენ „დაცემის“ ცოდვას. ავტორს აფორიაქებს კითხვა: „რა ჭირს ადამიანს. რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი,“ ეს დღემდე უპასუხო კითხვა ადამიანის ტრაგიკულობის შინაგანი თვისებაა და ცნობილი ათი მცნების დათრგუნვისა და მიჩქმალვის ცდებში ვლინდება. აკაკი ბაქრაძის თქმით: „ათი მცნებით დაგმობილი მანკიერებანი მანამდე იარსებებენ, სანამ ადამიანი იქნება. ოღონდ აქ პრობლემა დგას — ეს მანკიერებანი უნდა დაითრგუნოს თუ უნდა მიიჩქმალოს?.. ის, ვინც თრგუნავს, სულიერ თავისუფლებას აღწევს. ის, ვინც ჩქმალავს, სულიერი მონობის მსხვერპლია“ („მომავლისაკენ მომავალი ცალხელა კაცი“, იხ. ჟურნალი „კრიტიკა“, 1976, №3, გვ. 70-71).

ამგვარად, კაენის ცოდვის პარადიგმა, რომელიც დანარჩენ მცნებებსაც გულისხმობს, მრავალგანზომილებიანია და რომანის ძირითად მიზანდასახულობასთანაა მისადაგებული.

რომანის მოქმედება ურუქში ხდება. ურუქი წნორიდან ხუთი კილომეტრითაა დაშორებული. გამოითქვა მოსაზრება (აკ. ბაქრაძე), რომ ურუქში სიღნაღი იგულისხმება, მაგრამ სიღნაღივით გალავნიანი ქალაქის — შუამდინარეთის მითოსური ურუქის შემოტანა რომანში არაა შემთხვევითი, „რომანის ურუქი კონკრეტულობის საზღვარს არღვევს და სამყაროს სახედ, სიმბოლოდ იქცევა. ურუქელების ბედი კაცობრიობის ბედია“ (დასახ. წერილი, გვ. 77). ასევე ანას სახე კონკრეტულს, პიროვნულს სცილდება და ზოგად, მარადიულ დედის სახედ გვევლინება. მარადიული დედის პარადიგმად რომანში გამოყვანილია ირეალური შაოსანი დედაკაცი, ანას არქეტიპი. აკაკი ბაქრაძემ მიაქცია ყურადღება, რომ „რომანში იმედის, მხნეობის ალეგორიული ხილვა ქალის სახით ხდება ყოველთვის“ (გვ. 75).

მიჯაჭვული გმირისა და სამშობლოდაკარგული მედეას დედობა თუ ქალიშვილობა უსაზღვრო რწმენასთან ერთად, ტრაგიკულ ბედსაც გულისხმობს, ამიტომ ამბობს ანა: „ჩვენ უნდა გავძლოთ“ — „უნდა გავძლოთ — გუნებაში იმეორებს ალექსანდრე დედაკაცის სიტყვებს“. ა. კამიუ მიუთითებდა, რომ „ღმერთების წინააღმდეგ ამბოხზე მეტად ადამიანებს პრომეთეს ეს უსასრულო თმენა უფრო ხიბლავსო“. უსაზღვრო თმენის ხარისხზე აქცენტირებით ოთარ ჭილაძე საოცრად ამაღლებს მარადიული დედის ანას მხატვრულ სახეს.

მამლისა და ესკულაპეს პარადიგმა ისევ და ისევ ადამიანის ზნეობრივ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და ძალზე შთამბეჭდავ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს. გიორგა გადაწყვეტს მოშორდეს მაკაბელთა სამძულველ ოჯახს, ქალაქში გადაიკარგოს. მართლაც, გაჰყვება შორ გზაზე მდგარ მეურმეებს, რომლებსაც მამალი მიჰყავდათ თან.

ერთ დღეს მამალმა უჩვეულო ყივილი ატეხა. გაბეზრებულმა მეურნეებმა ღმერთის ფხიზელ დარაჯს „კუნძზე დაადებინეს გრძელი, ფოლადის ზამბარასავით ღონიერი კისერი და წალდის ერთი დაკვრით წააგდებინეს თავი... მამლის გამუდმებულმა ყივილმა გიორგას, ალბათ თავისი პირობა მოაგონა და უმალ უკან დაბრუნდა. გიორგა დედას უამბობს მამლის ამბავს. ცუდმა წინათგრძნობამ ანა შეაძრწუნა. სახლში დაბრუნებულს ექიმი ჯანდიერი, მამლის პარალელურ პარადიგმად, ესკულაპეს ამბავს უყვება: „ნამდვილ ექიმს, ესკულაპესავით, ორკაპი ჯოხი უნდა ეჭიროს ხელში ძაღლების მოსაგერიებლად, და საგზაო აბგაში გველი და მამალი უჯდეს — სიბრძნე და სიფხიზლე... ესკულაპე მკვდრის გაცოცხლებაზე ოცნებობს, მაგრამ ოცნებაც არ აპატიეს ღმერთებმა. წვიმისაგან ხის ძირას მეფარებულს, მეხი დასცეს მეოცნებე თავში, საწყალს, ალბათ, დანახშირებულ გულმკერდზე ბოლომეტრუსული მამალი ეჯდა და ჰყიოდა“ (147). საოცარი მხატვრული გარდასახვაა — მრავალგანზომილებიანი და დამაფიქრებელი.

ჩრდილში გაზრდილი გიორგა პირობას ასრულებს და მსხვერპლად ეწირება თათარს. ანა შვილის სისხლიან პერანგს ჩაიცმევს და გიორგას სისხლიან ლოგინში წვება. ზოსიმე მღვდელი თვითდაჯერებით ამბობს: „სანამ დედას შვილის სისხლიანი პერანგი აცვია, ქვეყანა არ დაიღუპებაო“ (260).

გიორგას ჩიტად და ირმად მოვლინების პარადიგმაც ძალზე საინტერესოა, მხატვრულად უზადო, ჭილაძისეული. ზოსიმემ ანას უთხრა: „სანამ შენ ცოცხალი ხარ, გიორგიც ცოცხალი იქნებაო“. მართლაც, ანასთვის გიორგა „ისევ ცოცხალი იყო და მტრებს რომ დამალვოდა, ათასნაირ სახეს იღებდა, ხან ბეღურად იქცეოდა და სხვა ბეღურებში გარეული, ნისკარტით უკაკუნებდა დედას, ხან წვიმად მოდიოდა... ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა აქაურობის მიტოვება, რადგან გიორგი ხან ქვიდან გამოეხმაურებოდა ხოლმე, ხან კი ბარის ტარიდან... ანა გომურის გარშემო დაჩოჩავდა“ (268).

მარადიული დედა — თავსაფრიანი ანა, ზამთრის ღამეში, შვილის სისხლიან საწოლზე ამთავრებს თავის სიცოცხლეს. მხოლოდ ოთარ ჭილაძეს შეუძლია ერთ ფრაზაშიც გამოკვეთოს გმირის სრული პორტრეტი: „გიორგიო, კი არ დაიძახა, დაიჩურჩულა, თითქოს ჩათბუნებული სოფლის გამოღვიძებას მოერიდაო“.

ქვეყნის „დაცემით“ დაგროვილი ჭუჭყი და ტალახი სიკეთეს სპობს. ტრაგიკულ ბედს იზიარებენ მაკაბელთა ოჯახის წევრები: ანა, გიორგი, ანეტა, ნიკოლოზი, ალექსანდრე თუ მარადიული მხევალი („უნიფხვო გოგო“) ალათი, რომელმაც მაკაბელთა ეზოში მდგარ ხეზე ჩამოიხრჩო თავი.

სამაგიეროდ მიეზღო ცრუ ქაიხოსრო მაკაბელსაც. ცოცხლად დალპა. ორი დღის შემდეგ ნახეს მკვდარი, ქაიხოსროს სიკვდილთან ერთად შეწყდა კარადისხელა საათის ლაუშოგავად რეკვა, პეტრემ ჟილეტის ჯიბიდან ამოიღო საათის მოსამართი და ეზოში ისროლა. დამთავრდა მაკაბელის დროც.

...კატორღაში დაბადებული მართა ბიძას — ცალხელა ალექსანდრეს ურუქში ჩამოჰყავს. წინასწარ იცოდა, რომ „მამამოდებულ ნასაყდრალში ეს დედაკაცი დახვდებოდა... დაგელოცე დედი, ობლები ვართ, — ძალით იღიმება ალექსანდრე, აცახცახებული ნიკაპი რომ გააჩეროს როგორმე.

— ღმერთმა დაგლოცოთ... რას იზამ, ქვეყანა ქერივობლობა ყოფილა, ჩვენც უნდა გავძლოთ. სიკეთის უჩინარი ხე კი, ბუბუნებს და მისი უხილავი ნაყოფი თქრიალით ცვივა მართას კაბის კალთებში“ (გვ. 478). ასე გარდაისახა ანას მარადიული ქალობა მართას სახეში. ეს კი გამქრალი „დარიაჩანგის ბაღის“ („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“) „ხელახლა გამოჩენის გოლფასი პარადიგმაა.

ცალხელა ალექსანდრემ ახალი, დიდი სიცოცხლე დააბრუნა კატორღიდან და ეს სიცოცხლე — „ჯიუტი, მბარდი, თამამი, ხალისიანი... სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული“, ბიძასთან ერთად, ახალ ცხოვრებას იწყებს ურუქში (გვ. 478). სამართლიანად შენიშნავს აკაკი ბაქრაძე, რომ „გიორგა, ალექსანდრე, ნიკო, მიტო სხვადასხვა ტოტია ერთი სიკეთის ხისა. ამ ხის ფესვი ანაა. მკვდრეთით აღმდგარი ღვთაების მსგავსად ევება პატარა მართას მარადიული დედა და ბებია ანა. ქარი მართას ზურგზე აწვება და „წინ აგდებს“, თითქოს ეუბნება, რა შორს დამდგარხარ. მიდი, აკოცე, ეგაა შენი დედაც, მამიდაც და ბებიაცო“ (476).

ამ რომანში, როგორც აღინიშნა, საქართველოს ისტორიის ერთი პერიოდია (1795-1910) ლოკალიზებული. მაგრამ მწერლისთვის კონკრეტულ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მისი გმირების ზნეობრივ-ეთიკური საზრისი მარადიულ სიდიდესთან — სამშობლოს გადარჩენასა და ათ მცნებაში ჩამოყალიბებულ სიბრძნესთანაა ასოცირებული. ეს კი მუდამ განმეორებადია და ყველა დროს ესადაგება.

ოთარ ჭილაძის მხატვრული ხედვა საოცრად ღრმა და უკომპრომისოა, როცა ის საქართველოს მეფისნაცვლობის პერიოდს გვიხატავს, ასეთ დეტალსაც გვაწვდის: „გადარჩენისა და ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინს ისე გაეცოფებინა და იხე გამოეთაყვანებინა ყველანი, მამა შვილს ვეღარ ცნობდა და შვილი მამას. მეფისნაცვლის სასახლეში გამართულ მეჯლისზე რომ მოხვედრილიყვნენ, ხელის აუკანკალებლად ნაუყროდნენ ერთმანეთს საწამლავს“ (158). ანდა, ბათუმელ ლადო ტულუშს კატორღაში გზავნიან, რევოლუციონერობა დააბრალეს — ფარანი რად გენთოო (ლადო ღამით ფარნის შუქით გამოტყუებულ მწყერებს იჭერდა). სინამდვილეში იგი „რევოლუციონერი კატორღაში გახდა, უფრო სწორად, კატორღაში შეიგნო პირველად, რომ ცალკე, დამოუკიდებლად არ არსებობდა ლამაზი და მხიარული ბიჭი ლადო ტულუში და სანამ მის დამონებულ, მაგრამ დაუმორჩილებელ ქვეყანას სული ედგმებოდა, იმპერიის გუშაგებისთვის, ყოველთვის დამაეჭვებელი და შემაშფოთებელი იქნებოდა“ (432). ლადო მიხვდა, რომ „ამ დამპალსა და დასნეულებულ სამყაროში ერთადერთი წამალი სიმართლის თქმა იყო“ (438).

როგორც ვხედავთ, ბატონი ოთარის ამ დიდტევად რომანში ქვეყნის „დაცემის“ შედეგად წარმოქმნილი ადამიანური ვნებები და განცდები ღრმა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და განუმეორებელი მხატვრული შთამბეჭდაობითაა წარმოსახული. მრავალწახნაგა პარადიგმა — სიმბოლოები, ქვეტექსტები, მეტაფორები და შედარებები ძალზე ბევრ საფიქრალსა და საზრუნავს უჩენს მისი დიდი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

აპოლონ ცანავა.

№204-205. კვირა-ორშაბათი, 1-2 აგვისტო, 1999 წელი.

ბლერი პრიშტინაში

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კოსოვოს ეწვია სარაევოს შეხვედრის დამთავრების შემდეგ. მას აღფრთოვანებით მიესალმნენ პრიშტინაში მყოფი ბრიტანელი ჯარისკაცები, როგორც მოსალოდნელი იყო, ათასობით ადგილობრივი ალბანელი შეეგება ტონი ბლერს, რომელსაც ისინი განმათავისუფლებლად სახავენ. ბლერმა მოიწონა კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების საქმიანობა და კმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ ასე სწრაფად დგება კოსოვო ნორმალური ცხოვრების კალაპოტში. მაგრამ შეშფოთება გამოთქვა 14 სერბი გლეხის მკვლელობასთან დაკავშირებით და განაცხადა, კოსოვოს ომი იმისთვის როდი იყო გათვალისწინებული, რომ სხვა ეთნიკური ჯგუფები დაეჩაგრათო. ბლერმა აგრეთვე დაადასტურა, რომ საერთოდ ბალკანეთის განვითარების მომხრეა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს ბალკანეთის რეგიონის განვითარებას. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დახმარება აღუთქვა იუგოსლავიის მეზობლებს, რომლებიც თანამედროვე ევროპის წევრობას ესწრაფვიან. ეს გამონათქვამი დაიბეჭდა ბულგარეთში, ალბანეთში, მაკედონიასა და რუმინეთში გამომავალი გაზეთების პუბლიკაციებში. ბლერი აგრეთვე შეჰპირდა ბულგარეთსა და რუმინეთს, რომ, ისინი მალე შევლენ ნატოში და ევროპის კავშირში.

დამთავრდა შეხვედრა სარაევოში

მსოფლიო უმაღლესი დონის ლიდერთა სარაევოში გამართული შეხვედრა დამთავრდა მოწოდებით იუგოსლავიისადმი, დაამყაროს დემოკრატიული რეჟიმი. ბელგრადმა ეს მოწოდება ყურად არ იღო, და სამიტს ნატოს ქვეყნების შეხვედრა უწოდა. პრეზიდენტ მილოშევიჩის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბალკანეთის სტაბილურობის შესახებ პაქტი, რომელიც გამოაცხადეს სარაევოს შეხვედრაზე, იუგოსლავიის დანგრევას უწყობს ხელს. შეშფოთება გამოთქვა, აგრეთვე იუგოსლავიის ოპოზიციამაც, რომელიც ამ შეხვედრაში ბელგრადის ოფიციალურ წარმომადგენელთა ნაცვლად მონაწილეობდა. მაგალითად, სამოქალაქო ალიანსმა განაცხადა, რომ იუგოსლავიის იზოლაციას შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი ნაციონალისტებსა და მილოშევიჩის მოწინააღმდეგეებს შორის. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა სერგი სტეპაშინმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება, სერბიას არ გაუწიონ დახმარება ეკონომიკის აღდგენაში, სანამ სლობოდან მილოშევიჩი ხელისუფლების სათავეში იმყოფება, სერიოზულ სიძნელეებს შეუქმნის ათობით მილიონ სერბს ზამთრის პერიოდში.

მაროკოს მეფის მიმართვა

მაროკოს ახალმა მეფემ მოჰამედ მეექვსემ ტახტზე ასვლიდან ერთი კვირის შემდეგ პირველად მიმართა ერს. ტელევიზიით გამოსვლისას მეფემ განაცხადა, რომ ერთგულობს კონსტიტუციურ მონარქიას, პოლიტიკურ პლურალიზმს და ეკონომიკურ ლიბერალიზაციას. ტახტზე ასვლისას მოჰამედ მეექვსემ აღუთქვა ქვეყანას, რომ ქვეყნის მმართველობას გამოიყენებს ღატაკებისა და უმუშევრების დასახმარებლად, რომელთა რაოდენობა მაროკოში ორ მილიონს აღწევს, მანამდე კი მეფეს მიენიჭა ქვეყნის რელიგიური ლიდერის წოდება.

საფრანგეთმა და ალჟირმა ურთიერთობა განაახლეს

საფრანგეთი და ალჟირი ცდილობენ აღადგინონ ადრინდელი ახლო ურთიერთობა, რომელსაც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში სახარბიელოს ვერ ვუწოდებდით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუბერ ვედრენმა განაცხადა, რომ პარიზი კვლავ ხსნის ორ საკონსულოს ალჟირში, მას შემდეგ, რაც ალჟირის პრეზიდენტად აირჩიეს აბდელ აზიზ ბუტეფლიკა. ვედრენმა ეს განაცხადა ალჟირის დედაქალაქში ბუტეფლიკასთან მოლაპარაკების შემდეგ. პარიზისა და ალჟირის დიპლომატიური ურთიერთობა, ფაქტობრივად, გაყინული იყო 1992 წლიდან, რაც ისლამისტებმა ალჟირში ძალადობის ტალღა ააგორეს, რომელსაც ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ალჟირის პრეზიდენტად ახლად არჩეული აბდელ აზიზ ბუტეფლიკა ცდილობს, ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე დააბრუნოს.

შეერთებული შტატები ხურავს ბოლო ბაზას პანამაში

შეერთებულმა შტატებმა დახურა თავისი უკანასკნელი ფორტ კლაიტონის სამხედრო ბაზა პანამის ტერიტორიაზე და ამით ოფიციალურად მოუღო ბოლო რთულ ურთიერთობას ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანასთან, რაც მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. პანამის პრეზიდენტი ერნესტო პერეს ბალადარესი დაესწრო ბაზაში ამერიკის დროშის დაშვების ცერემონიას. ამერიკის მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი დარჩება ბაზაში მისი ლიკვიდაციისათვის, მაგრამ 1977 წლის ხელშეკრულების თანახმად, უკანასკნელმა ჯარისკაცმა პანამა უნდა დატოვოს მიმდინარე წლის დამლევამდე.



პანამაში შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა დაიწყო, როგორც არხის უსაფრთხოების დაცვის ოპერაცია, მაგრამ მთელ ლათინურ ამერიკაზე ვაშინგტონის ზეგავლენის იარაღად გადაიქცა. ამერიკის ჯარების გამოყვანა ახალი ნაბიჯია პანამის ნამდვილი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ ეს ასევე თავისუფლებას მიანიჭებს ნარკოტიკების კონტრაბანდისტებსაც.

ბრძოლები კონგოში

ლტოლვილები, რომლებიც ტოვებენ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის რაიონებს, სადაც გრძელდება მეამბოხეთა ძალების იერიშები, ამბობენ, რომ მეამბოხეებს მიემხრნენ უგანდელი და რუანდელი ჯარისკაცები. ახლა ლტოლვილები თავს აფარებენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას კონგოს რესპუბლიკის სამთავრობო ჯარებთან ერთად. როგორც მათ თქვეს, უგანდისა და რუანდის რეგულარული ჯარები მაშინვე შეიდნენ ქალაქში, როგორც კი მეამბოხეებმა დაკარგეს კონტროლი სასაზღვრო ქალაქ ზონგოსადმი. მეამბოხეთაგან განსხვავებით, მათი ცნობა იოლი იყო, რადგან მხოლოდ ისინი ლაპარაკობენ ინგლისურად.

სენატმა მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიზანია მილოშევიჩის რეჟიმის არსებობის შეწყვეტა

შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიზანია პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმის არსებობის უსწრაფესი შეწყვეტა და იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის დემოკრატიზაცია.

კანონპროექტი მოიწონეს ღია კენჭისყრაზე, საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა და პრაქტიკულად საკითხი არც განხილულა. ახლა დოკუმენტი უნდა განიხილოს სენატმა. წარმომადგენელთა პალატას ჯერ არ მიუღია ანალოგიური კანონპროექტი.

დოკუმენტი, რომელსაც ეწოდა „სერბიის დემოკრატიზაციის კანონი“ შეიცავს მილოშევიჩის რაც შეიძლება სწრაფად შეცვლისათვის გამიზნულ მთელ რიგ დებულებებს. კერძოდ, დებულებით ნავარაუდევია, წლის განმავლობაში, 1999 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული, 100 მილიონი დოლარის გამოყოფა სერბიასა და ჩერნოგორიაში დემოკრატიის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, დაგეგმილია გაიზარდოს პროგრამების „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფალი ევროპა“ (რადიო „თავისუფლების“) მაუწყებლობის მოცულობა.

კანონპროექტის სხვა დებულებები აგრეთვე ითვალისწინებენ:

— გაიყინოს იუგოსლავიის ყველა ფინანსური თანხა შეერთებულ შტატებში;

— აიკრძალოს იუგოსლავიისათვის კრედიტების გამოყოფა და მის ეკონომიკაში ინვესტირება;

— აიკრძალოს კომპიუტერების სტრატეგიული ექსპორტი და სერბიისა და იუგოსლავიის მთავრობების პროგრამული უზრუნველყოფა;

— აიკრძალოს სამხედრო თანამშრომლობა სერბიისა და იუგოსლავიის შეიარაღებულ ძალებთან;

— უარი ეთქვათ ვიზებზე სერბიისა და იუგოსლავიის მთავრობათა მაღალჩინოსან წარმომადგენლებს, ჩერნოგორიის მთავრობის მოხელეთა გამოკლებით;

— კანონპროექტში გამოხატული კონგრესის თვალსაზრისით, პრეზიდენტმა უნდა მოუწოდოს სხვა ქვეყნებს, განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებები. კონგრესის მეორე თვალსაზრისის გამომხატველი კიდევ ერთი დებულება, რომელსაც არ აქვს კანონის ძალა, მოუწოდებს ადმინისტრაციას, თავი შეიკავონ იმ ნებისმიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციაში შეერთებული შტატების წილის შეტანისაგან, რომელიც შეერთებული შტატების უარის მიუხედავად, იღებს გადაწყვეტილებას სესხი ან სხვა დახმარება გაუწიოს იუგოსლავიას.

კანონპროექტი, რომელსაც ფართოდ უჭერს მხარს ორივე პარტია, კლინტონის ადმინისტრაციამ მოიწონა მას შემდეგ, რაც მისი ავტორები სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ჯესი ჰელმსის მეთაურობით დაეთანხმნენ იმ დათმობას, რომელიც ითვალისწინებს, რომ დოკუმენტის დებულებები არ ამოქმედდება, თუ ამას მოითხოვს ეროვნული უშიშროების ინტერესები და იმასაც, რომ ეს სანქციები გაუქმდეს, როგორც კი მიღწეული იქნება დემოკრატიული მმართველობა.

კანონპროექტის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია, რომ ჩერნოგორიასა და სერბიის კოსოვოს მხარეს არ შეეხოს ამ პროექტით განსაზღვრული შეზღუდვების მოქმედება. მართლაც, მასში, კერძოდ, ნავარაუდევია დახმარება გაეწიოს კერძო პირებს კოსოვოში და იმათ, ვინც ლტოლვილი გახდა კონფლიქტის შედეგად.

გარდა ამისა, შეზღუდვების მოქმედება არ გავრცელდება ჰუმანიტარულ დახმარებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მედიკამენტების ექსპორტზე იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ასეთმა ექსპორტმა შეიძლება ხელი შეუწყოს ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის შექმნას.

როგორც ჰელმსმა თქვა, კანონპროექტის მიზანია, „იზოლაციაში მოაქციოს მილოშევიჩი და ამავე დროს სერბი ხალხი უზრუნველყოს საჭირო რესურსებით და ჩააბას დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში“.

კანონპროექტი შეიცავს რეკომენდაციას, რომლის შესაბამისად, როგორც კი მილოშევიჩის რეჟიმი დემოკრატიული მთავრობით შეიცვლება, შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებელი და მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს ქვეყანას დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლისათვის; პრეზიდენტმა კი ასეთი დღის განმავლობაში კონგრესს უნდა გაუგზავნოს ასეთი დახმარების დეტალური გეგმა.

კონგრესის თვალსაზრისის გამომხატველი სხვა დებულებები ასევე შეიცავენ მოწოდებას შეერთებული შტატების სადაზვერვო გაერთიანებისადმი, შესაბამისი სამსახურების მიერ შეგროვილი ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალს, რომელიც მილოშევიჩს საბრალდებო განაჩენს გამოუტანს სამხედრო დანაშაულობათა ჩადენისათვის, და სთხოვოს ადმინისტრაციას, ყურადღებით ადევნოს თვალი სერბიის ვოევოდინის მხარეში ეთნიკური უნგრელების მდგომარეობას.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს ლია გოგიჩაიშვილმა, ლევან გოჟორიშვილმა.

ხელბურთი

ემზადებიან „პლეი-ოფისთვის“

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ახლახან კრასნოდარის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა რუსეთის ჩემპიონ — ვოლგოგრადის „კაუსტიკთან“, ჩელიაბინსკისა და კრასნოდარის კლუბების, ბელარუსისა და უკრაინის ეროვნულ, აგრეთვე, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებებთან ერთად.

ქართველმა ხელბურთელებმა ფრედ ითამაშეს ჩელიაბინსკელებთან, შემდეგ რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხეს, მომდევნო ორ მატჩში კი დამარცხდნენ „კაუსტიკთან“ და ბელარუსის ნაკრებთან.

რადგანაც კრასნოდარი-თბილისის ავიარეისები კვირაში მხოლოდ ერთხელ სრულდება, საქართველოს გუნდი ტურნირიდან ნაადრევად გამოემგზავრა და ცხადია, დანარჩენ მატჩებში მონაწილეობა ვერ მიიღო.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზაზა დოლიძის თქმით, 1-12 აგვისტოს საქართველოს ნაკრები საწვრთნელ შეკრებას გაივლის. ფიზიკურად მის წევრებს ქართველი სპორტსმენებისათვის ცნობილი მწვრთნელი იური სტადუხინი მოამზადებს.

სავარაუდოა, რომ 13-დან 22 აგვისტომდე საქართველოს ნაკრები იტალიის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს.

სექტემბერში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად „პლეი-ოფის“ მატჩებში დანიის გუნდს შეხვდება.

„პრაიმ-ნიუსი“.

ჭადრაკი

ქალებმა საათები ჩართეს

ყაზანში 30 ივლისს დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ფინალური მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისათვის რუსეთელ ალისა გალიამოვასა და ჩინელ სიუ ჯუნს შორის. როგორც გულშემატკივრებმა იციან, გვირგვინისთვის ორთაბრძოლის პირველი ნახევარი, ანუ 8 პარტია, თათრეთის დედაქალაქში გაიმართება, მომდევნო რვა შეხვედრას კი ჩინეთი უმასპინძლებს. გამარჯვებულად ის დიდოსტატი გამოცხადდება, რომელიც პირველი მოაგროვებს 8,5 ან 9 ქულას, თუმცა, ჩინელ მოჭადრაკეს ფრეც (8:8) ჰყოფნის ტიტულის მესამედ მოსაპოვებლად.

პირველ პარტიაში გალიამოვამ საგრძნობი პოზიციური უპირატესობა ვერ გამოიყენა და მეტოქეები 66-ე სვლაზე დაზავდნენ.

ათლეტიზმი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

ავთანდილ მამალაძე — II ნაწილი

I ნაწილში ნაჩვენები იყო სამჭიდის პირველი ორი ვარჯიში — ჩაჯდომა და აჭიმვა. გთავაზობთ სამჭიდის მესამე ვარჯიშს — ამოწევას და დამატებით ვარჯიშებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტურ კლუბ „ამირანისა“ და საქართველოს ნაკრები გუნდის წევრის **ავთანდილ მამალაძის** შესრულებით.

1) **შტანგის ამოწევა** (სურ. 1). სრულდება 6 მისვლა 3-3 გამეორებით.

2) **მხრის ორთავა კუნთების, ბიცეფსების ვარჯიში** (სურ. 2). სრულდება 6-8 მისვლა 8-10 გამეორებით.

3) **მხრის სამთავა კუნთების ვარჯიში** (სურ. 3, 4). აზიდვა ორძელიდან. სრულდება 4-6 მისვლა 6-8 გამეორებით, ქამარზე წონის დამატებით.

ვარჯიშის წინ ავთანდილ მამალაძე სახსრებს იზელს ადგილობრივი წარმოების მალამო „ვიტარაგით“.

ზურაბ ჭავჭანიძე.

ნაზი გოგიშვილის ფოტო.

მიქსი



გულო რჩხილაძის ხსოვნას მიეძღვნა

თბილისის ტანვარჯიშის სპორტულ კომპლექსში დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველოს და ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ინიციატივით საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის გიორგი (გულო) რჩხილაძის დაბადებიდან 90-ე წლისთავი. ღირსეული მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს და მოგონებებით გამოვიდნენ სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა, ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ლონლაძე, ოლიმპიური ჩემპიონი მზია ჯუღელი, „ჭიდაობის პროფესორი“ ვახტანგ ბალავაძე, ცნობილი სპორტსმენი — რევაზ შარაბიძე და სხვები.

დასასრულს გაიმართა თბილისის პირველობა ტანვარჯიშის სახეობებში (მიქსი). 28,6-28,6 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს გუნდებმა, რომელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ინგა თავდიშვილი (მხატვრული ტანვარჯიში), შალვა დალაქიშვილი (სპორტული ტანვარჯიში), ლიუბოვ გოლოვინა (ბატუტზე ხტომა) და ვანდა კერესელიძე (მხატვრული ტანვარჯიში), რევაზ აბულაძე (სპორტული ტანვარჯიში), თენგიზ კოშკაძე (ბატუტზე ხტომა).

გარი ამირხანოვი.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

არდადეგები

ნორჩები „შევარდენში“ ისვენებენ

...ქვემო ქართლში მანგლისი, კოჯორი და კიკეთი მოზარდებისათვის საუკეთესო დასასვენებელი კურორტებია. მანგლისი კარგა ხანია დედაქალაქის თაკარას გარიდებულ მოზარდთა ჟრიამულით აივსო. მისი საოცრად რბილი, სუფთა ჰავა, საუკუნოვანი ნაძვნარი თუ ცივი ანკარა წყაროები, ულტრა-იისფერი მზის სხივები კეთილმყოფელია ბავშვების ორგანიზმზე. მის თვალწარმტაც ბუნების წიაღშია განლაგებული მანგლისის ბავშვთა დასასვენებელი სახლი „შევარდენი“, რომლის დირექტორია ახალგაზრდა, ენერგიული პიროვნება გივი მჭედლიძე. მისი პრინციპულობითა და პაცურ-კაცობით გადარჩა მძიმე წლებში აქაურობა დანგრევა-განადგურებას. მას ძალზე ემადლიერებიან (აქ ყოველ ზაფხულს ჩამოჰყავთ ნორჩი სპორტსმენები დასასვენებლად) სპორტსმენები, მათი მშობლები და მწვრთნელები.

წელს აქ დასასვენებლად ჩამოვიდნენ თბილისის სხვადასხვა სპორტულ კლუბებში გაერთიანებული ნორჩი სპორტსმენები, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცირე ახალგაზრდები.

მათთან მუშაობენ საფეხბურთო კლუბ „ვაკე-91“ მწვრთნელები, მათ შორისაა ღირსების ორდენის კავალერი მიხეილ აბეჩხრიშვილი, მთავარი მწვრთნელი კალათბურთში ნიკოლოზ დერიუგინი, თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა 35-ე სკოლის მწვრთნელი მერაბ წიკლაური, მწვრთნელი კარატეში ჯამბულ კოდუა, კალათბურთში — ლევან ინწკირველი და სხვები.

„შევარდენში“ ნორჩი სპორტსმენების ცხოვრების ყოველი დღე რეჟიმზეა აგებული. სისტემატურად იმართება შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში. სპორტული შეჯიბრებებისა და ვარჯიშისაგან თავისუფალ დროს კი ეწყობა ლაშქრობა-ექსკურსიები კურორტის მიდამოებში ისტორიული ძეგლების გასაცნობად.

დიდია მათდამი მედიცინის მუშაკთა ყურადღება გიორგი კერესელიძის ხელმძღვანელობით, ხოლო თეთრი წყაროს რაიონის გამგებლის ვახტანგ ზანგურაშვილის დახმარებით „შევარდენს“ შუქი და წყალი განუწყვეტლივ აქვს. ყურადღება მას მანგლისის პოლიციის უფროსის მამია რუხაძისგანაც არ აკლია.

აქ კვება სამჯერადია. გემრიელი საუზმის, სადილისა და ვახშმის კერძები ნორჩი სპორტსმენებისთვის აუცილებელ კალორიულობას შეესაბამება. ასე რომ, მათ აქ დასვენების, ვარჯიშისა და სხეულის გაკაჟების კარგი პირობები აქვთ. სპორტულ მოედნებზე თუ ნაძვნარით დაჩრდილულ „შევარდენის“ ეზო-გარემოში სპორტსმენთა ჟრიამული არ წყდება.

ვალენტინ მელიქოვი.

მანგლისი.

სურათზე: ნორჩი სპორტსმენები „შევარდენში“.

ავტორის ფოტო.

ყოველი მხრიდან

ჩემპიონატის გადადებას მოითხოვენ

მოლდავეთის ჭადრაკის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ფიდეს, რათა ცოტა გვიანი დროისათვის გადაიტანოს ქალთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით. ის დაგეგმილი იყო წლევანდელი 3-26 სექტემბრისათვის კიშინიოვში.

ეს დაკავშირებულია 30 ივლისს ყაზანში დაწყებულ საჭადრაკო მატჩთან მსოფლიო „დედოფლის“ გვირგვინისათვის რუსეთელ ალისა გალიამოვასა და ჩინელ სიუ ჯუნს შორის. ჩემპიონატის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ მათ გაუჭირდებათ ასე მომქანცველი ორთაბრძოლის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატში დაუყოვნებლივ ჩაბმა.

მოლდავეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის სერაფიმ ურეკიანუს განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის ყველა ორგანიზაციული საკითხი მოგვარებულია. ამ დიდმა ტურნირმა ხომ მოლდავეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პეტრე ლუჩინსკის მფარველობით უნდა ჩაიაროს. კიშინიოვი მზადაა ხელვე მაღალ დონეზე მიიღოს ჩემპიონატის მონაწილენი და სტუმრები.

მაგრამ, ჩემპიონატის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ასეთ დიდ სპორტულ ფორუმში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ყველა წამყვანი მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონის მეთაურობით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება მას წარმატება და მის შედეგებს მაშინ აღიარებს მსოფლიო საზოგადოებრიობა.

უეფას კოეფიციენტთა ცხრილით

გამოქვეყნდა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო კოეფიციენტთა ცხრილი 1995/96 წლიდან მიმდინარე სეზონის შედეგების ჩათვლით. მასში მითითებულია, რომ ზოგიერთი ქვეყნის კლუბები აგრძელებენ ბრძოლას ინტერტოტოს თასის გათამაშებაში **უეფას** თასის სამი საგზურისათვის. ამ გუნდების საბოლოო სია გაირკვევა 24 აგვისტოსათვის, ინტერტოტოს თასზე ფინალური მატჩების შემდეგ.

სიაში პირველ ადგილზე იტალიაა 43,927 ქულითა და ევროპული თასების წლევანდელ გათამაშებაში 7 გუნდით. შემდეგ მოდიან ესპანეთი — 41,028 ქულა (7 გუნდი), გერმანია — 35,392 ქულა (7 გუნდი), საფრანგეთი — 32,242 ქულა (6 გუნდი), პოლანდია — 30,416 ქულა (6 გუნდი). პირველ ათეულში შედიან, აგრეთვე, ინგლისი, რუსეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი და პორტუგალია.

საქართველო 8,499 ქულით და 3 გუნდით 29-ე ადგილზეა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩვენს ქვეყანაზე წინ მხოლოდ რუსეთი და უკრაინაა — 18,291 ქულა, მე-11 ადგილი. ახლა სიაში ჩვენზე უკან არის ისეთი საფეხბურთო ქვეყანა, როგორიც ბულგარეთია — 7,707 ქულა (30). ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი ახლანდელი მოწინააღმდეგე — მოლდავეთი 35-ე ადგილზეა 4,999 ქულით.

სპორტის რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა
№204-205. კვირა-ორშაბათი, 1-2 აგვისტო, 1999 წელი.

ღიმილის დოზა

კაცი თანამშრომლებს უყვება:
— გუშინ ქალთან ვიყავი. უცებ ქმარი დაბრუნდა. ქალი მეუბნება — აიღე უთო და დააუთოვე თეთრეული. დავაუთოვე.
მსმენელთაგან ერთი გიჟივით იცინის:
— შენ ამა და ამ ქუჩაზე იყავი?
— დიახ!
— ჰოდა, გუშინწინ ის თეთრეული მე გავრეცხე.

* * *

ერთხელ კარლსონი სარკმელში გაიჭედა... ასე შეიქმნა კონდიციონერი.

* * *

კატასტროფა რკინიგზაზე: ლიანდაგიდან გადავარდა სპეციალური მატარებელი დეპუტატებით. მაშველებს ყველა დამარხული დახვდათ:
— ყველა დაიღუპა? — გაკვირვებულებმა იკითხეს:
— დიახ! — უპასუხეს სოფლელებმა, — ზოგიერთი, მართალია, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ცოცხალია, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ პოლიტიკოსები ყოველთვის ტყუიან.

ამინდი

აგვისტოს მცხუნვარებაში

საქართველოში ეს თვე, ისევე როგორც ივლისი, წლის ყველაზე ცხელი თვეა. კლიმატური მონაცემებით ივლისთან შედარებით აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურა საქართველოში მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის, სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 21-დან 24 გრადუსამდე მერყეობს, შიდა ქართლში 20-22 გრადუსის ფარგლებშია, ქვემო ქართლსა და კახეთში 22-25, მთიან რაიონებში 17-22, მაღალმთიან ზონაში კი 13-17 გრადუსს შეადგენს:

სწორედ ამის შესახებ გვესაუბრება ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე რამაზ ჭითანავა.

— ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობსა და ბარში 37-42-ს, ზოგან 43 გრადუსს (ლათა, ჭარნალი), მთიან რაიონებში 33-38, მაღალმთიან ზონაში 30-35 გრადუსს აღწევს. აბსოლუტური მინიმუმი იკლებს ბათუმისა და მახინჯაურის მიდამოებში 12-14, შავი ზღვის სანაპირო ზოლის დანარჩენ ნაწილში 10-12, კოლხეთის დაბლობზე 7-11, ქართლსა და კახეთში, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 4-9, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 5 გრადუსი სითბოდან 1 გრადუს ყინვამდე.

ყველაზე მეტი ნალექი 200-300 მმ მოდის აჭარის სანაპირო ზოლში, სანაპირო ზოლის დანარჩენ ნაწილში, კოლხეთის დაბლობზე, სამეგრელოს, აფხაზეთის მთიან რაიონებსა და აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში აგვისტოში მოსული ნალექების რაოდენობა 100-200 მმ-ს, ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე 50-100 მმ-ს შეადგენს.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის აგვისტოს თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა ქვემო ქართლში მოსალოდნელია 1 გრადუსით მაღალი საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე, ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე — მასთან ახლოს. მესამე დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დაბლობსა და ბარში 12-17, მთიან რაიონებში 9-14, მაღალმთიან რაიონებში 4-9 გრადუსამდე; თვის პირველ ნახევარში — ტემპერატურა მოიმატებს დღისით შავი ზღვის სანაპირო ზოლში 28-31 გრადუსამდე, კოლხეთის დაბლობზე, ქართლსა და კახეთში 32-37 გრადუსამდე, ქვეყნის მთიან რაიონებში 27-32, მაღალმთიანი რაიონების ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე 25-30 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო მთიან რაიონებსა და ქართლში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები, ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე მასთან ახლოს და მასზე მეტი.

მოსალოდნელი მცირე ნალექები სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ქვეშ ტენის სიმცირეს განაპირობებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მათ გახშირებული რწყვა დასჭირდებათ.

მრავალწლიური მონაცემების მიხედვით საქართველოს მდინარეთა წყლიანობა აგვისტოში 20-30 პროცენტით დაბალია ივლისთან შედარებით.

მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა ნორმაზე დაბალია ნავარაუდევი.

კროსვორდი



თარაზულად: 7. სახელმწიფოების, პარტიებისა და სხვათა შეთანხმება, კავშირი საერთო მიზნების მისაღწევად. 8. პირი, რომელიც სიგნალს იძლევა შეჯიბრების დაწყების შესახებ (სირბილში, დოღში, ცურვაში და მისთ.). 9. სპორტული სირბილი დაბრკოლებების გადალახვით. 10. თანამედროვე ცირკის მოედანი, სადაც ნახერხია დაყრილი. 12. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი, აქვს ტალღისებური მბზინავი ზედაპირი. 14. მტაცებელი ცხოველი. 15. თეატრში შესასრულებლად განკუთვნილი მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ინსტრუმენტული მუსიკა შეხამებულია ვოკალურთან. 18. ინდოელი მწერალი. 20. მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 21. პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება ძალადობით. 22. მკვეთრად გამოხატული სხვაობა, დაპირისპირებულობა. 27. გარეული ფრინველი. 28. პოლონელი მწერალი. 30. პერსონაჟი ქალის სახელი ბრაზილიურ ტელესერიალში „ტროპიკული ქალის საიდუმლო". 31. მევალისათვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთი, ქონება. 33. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები. 35. აზიის სახელმწიფო. 36. სასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწილო საჩუქარი. 37. საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის ერთი სახეობა. 38. საგნის ან მოვლენის ძირითადი, არსებითი თვისება. 39. პირი, რომელიც შტატში ჩარიცხვამდე გამოსაცდელად არის დანიშნული დაწესებულებაში, საწარმოში.

შვეულად: 1. ამერიკელი კინომსახიობი. 2. საიდუმლო წერილისათვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა. 3. სრული მარცხი, კრახი. 4. ქართველი რეჟისორი. 5. ხის ქოჩორი, ვარჯი. 6. ამერიკელი მწერალი, 1927 წ. იმოგზაურა თბილისსა და ბათუმში. 9. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში. 11. ინდოელი რეჟისორის რაჯ კაპურის ფილმი. 13. მიწისა და მიწისქვეშეთის, ქვესკნელის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 16. ელექტრული მანქანის უძრავი ნაწილი, რომლის შიგნითაც ბრუნავს როტორი. 17. ბრუნვა, ტრიალი, წრებრუნვა. 19. წმინდა გამარჯვების მიმნიჭებელი ილეთი კარატეში. 21. წარწერა კინოფილმის კადრზე. 23. რუსი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე პირველი მთარგმნელი. 24. ბამბის წმინდა ბადურა ქსოვილი. 25. ექსპრომტი. 26. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი. 29. მხარე, მიდამო. 31. ძველებური ფრანგული ცეკვა. 32. ლითონზე შესრულებული გრავიურა. 34. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება. 35. რაიმე დარგში მუშაობის ან რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის რიგებში ყოფნის ხანგრძლივობა.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.

25-26 ივლისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მორავია. 3. სეანსი. 5. სკეტჩი. 7. პატი 8. კრიმინალი. 9. შარა. 13. აბობეი. 16. დელონი. 17. პენალტი. 18. ოპერა. 20. „ტორსი". 22. რაგუ. 23. კანი. 24. ფრაზა. 25. ვლადი. 27. ბრიკეტი. 29. რანტიე. 31. კლოუნი. 35. იდეა. 36. ავსტრალია. 37. შინი. 38. იმაურა. 39. „ოდისეა". 40. ამბიცია.

შვეულად: 1. მასპრი. 2. ასკილი. 3. სიტრო. 4.იდილია. 6. იმატო. 7. „რადო". 10. ალიბი. 11. სეპარაცია. 12. ფესტივალი. 14. ბენუარი. 15. სტაკატო. 19. არე. 21. რქა. 24. ფარსი. 26. იმიჯი. 28. კვარტი. 30. ნოელი. 32. ურიკა. 33. ავარია. 34. „მინდია".

ხსოვნა

ჟენია ელიაშვილი

გვიმძიმს, ჩვენო საყვარელო ჟენია, შენთან განშორება.
ღამით შენს საფლავს
სინანულით დახედავს
მთვარე,
ლურჯი მონასტრის
მგლოვიარე
შემოჰკრავს ზარი,
ფრთოსან ნისლებში ატირდება
შავი ვარდები,
და ჭირისუფალს ვუსამძიმრებთ თანამშრომლები.
ყველა თანამშრომელს გული ატკინე,
ჩვენო საყვარელო ჟენია, ნაადრევია შენი წასვლა ამ ქვეყნიდან. შენი მარადიული ხსოვნა ყოფილიყოს. ნათელში იყავი ჩვენო, საყვარელო და სანატრელო.

შენი შურა ახალაური.

გახსენება

არსენ შველაშვილი

ორმოცი დღეა ცრემლის ნიაღვარი არ წყდება თქვენი ცოლ-შვილის, ახლობლების და ყველა იმ ადამიანთა თვალთაგან, რომელთაც თქვენს გვერდით ყოფნის ბედნიერება ერგოთ წილად. იშვიათად გვინახავს ადამიანი, ვისი ფიზიკური გარეგნობა და შინაგანი ბუნება ასეთ ჰარმონიაში ყოფილიყოს ერთმანეთთან. თქვენს მაღალ შუბლს, შევერცხლილ თმებს და მთელ იერ-სახეს თუშეთის სპეტაკი თოვლიანი მთების ნათელი სხივი სდევდა თან. მთელი გულით ეკუთვნოდით თუშეთს, მისი ვაჟკაცური ტრადიციების მოტრფიალე იყავით, მაგრამ კუთხურობის სენით არასოდეს გიავადმყოფიათ. თქვენი მშობელი კუთხე მთლიან საქართველოსთან ერთად გიყვარდათ. სიყვარული გამოსჭვიოდა ყველა თქვენს საქმიანობაში. თავად ზნემაღალს პატრიოტობად ახალგაზრდების სიმართლისა და შრომისადმი სიყვარულით აღზრდა მიგაჩნდათ. აკი ამიტომაც თავს არ ზოგავდით — შრომობდით, შრომობდით, შრომობდით და ამ შრომაში მთელი ოჯახი გვერდით გედგათ. ამიტომ დაიპყარით ობლობაში გამოზრდილმა კაცმა მეცნიერების თითქმის ყველა მწვერვალი. ქრისტიანი ბრძანდებოდით, მაგრამ ალბათ თქვენი მტკიცე ხასიათის გამო, დაივიწყეთ შეგონება: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორის სწავლებისა განეშორე".

გავა წლები, თქვენი სახელი კი დარჩება თქვენი შვილების, ნაშრომების, წიგნების სახით. და ვაჟას თქმისა არ იყოს: „გავიგებთ ერთხელაც ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა".

გასულა ორმოცი დღე და დარწმუნებული ვართ, თქვენი სპეტაკი სული სასუფეველში შეაბიჯებს, თქვენ ხომ მთელი ცხოვრება ამ დღისთვის ემზადებოდით.

სესილი, ოთარი სუხიაშვილები ოჯახით.

მედიცინა

იქნებ ამან გვიშველოს

საქართველოს სუ-ჯოკ აკუპუნქტურისტთა ასოციაცია
სუ-ჯოკ თერაპიის ცენტრი

— დღეს მედიცინაში მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. სუ-ჯოკ თერაპია ახალი სიტყვაა მედიცინაში. ეს არის ავადმყოფობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდი ხელის მტევანსა და ფეხის ტერფზე, — ამ სიტყვებით დაიწყო ამ დღეებში ჟურნალისტთა სახლში გამართული პრესკონფერენცია სუ-ჯოკ თერაპიის ცენტრის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მერაბ ნებიერიძემ.

ეს არის არატრადიციული, დიდი კლასიკური აკუპუნქტურის ფენომენზე შექმნილი ახალი მიდგომა ადამიანისადმი. მკურნალობა ემყარება სამხრეთკორეელი ექიმისა და მოაზროვნის პროფესორ პაკ ჩვე ვუს მიერ მოწოდებულ ახალ თეორიას. „სუ" სამხრეთკორეულად ნიშნავს ხელის მტევანს, „ჯოკ" — ფეხის ტერფს. ზოგიერთს დაებადება კითხვა: რატომ მკურნალობენ მაინცდამაინც ხელსა და ტერფზე? დარგის სპეციალისტები უპასუხებენ. ისინი ადვილად მისაწვდომია ყველასათვის. იგი ადამიანის თვითგანკურნების საშუალებაცაა.

მეთოდის უსწრაფესად დანერგვას ხელი შეუწყო მისმა ეფექტიანობამ, — მკურნალობის ხანგრძლივობა რამდენიმე წუთია, უსაფრთხოებამ, რომელიც იძლევა მკურნალობის მხოლოდ დადებით ეფექტს ან არანაირს; მეთოდის უნივერსალურობამ, — რაც ნებისმიერი კუნთისა თუ ქსოვილის კონტურის მიღწევის საშუალებას იძლევა. მისი ხელმისაწვდომობა და ბუნებრიობა გამოიხატება იმით, რომ მეთოდის შესწავლა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს. მას ეუფლებიან არა მარტო ექიმები, არამედ ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანებიც:

აკუპუნქტურაში ზეგავლენა ხდება როგორც შესაბამისი ხელსაწყოებით, ისე ბუნებრივი საგნებითაც, მაგალითად, ვარდის, ეკლით, ხის ტოტით და ა. შ.

სუ-ჯოკ თერაპია ჩვენთან ერთი წელიწადია, რაც არსებობს და უკვე ასობით ადამიანია განკურნებული. საქართველოში ამ მეთოდის უფრო მყარად დანერგვისათვის შარშან სუ-ჯოკ აკუპუნქტურისტთა ასოციაცია და ცენტრი შეიქმნა.

მისი ძირითადი მიმართულებაა სუ-ჯოკ აკუპუნქტურის ცოდნის გავრცელება ექიმებს შორის. ცენტრის თანამშრომლები მოსახლეობას მეთოდის სწავლებას სთავაზობენ, რომელიც ნებისმიერი ტკივილის გაყუჩებასა და ქრონიკული დაავადებების მოწესრიგებას ითვალისწინებს. მისი სწავლება განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება სამხედროებისათვის. ჯარისკაცები ექსტრემალურ სიტუაციებში, პრიმიტიული მეთოდის გამოყენებით, საკუთარი თავისა და მეგობრებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას შეძლებენ. ზოგიერთ ქვეყანაში სუ-ჯოკ თერაპიას სკოლებშიც ასწავლიან.

დღეს საქართველოში 40 ათასამდე ექიმია, რომელთა უმრავლესობა უმუშევარია. საჭიროა კადრების მომზადება მის გასავრცელებლად, რითიც ექიმთა გარკვეული ნაწილი დასაქმდება. სუ-ჯოკ თერაპიის დანერგვა დიდ რეზონანსს გამოიწვევს საქართველოში.

მაია ასაკაშვილი.

ორშაბათი - 2 აგვისტო

I არხი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.05 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ზასტი-ზუზუ". 20.50 "რა ხდება..." 21.25 "მთავარ როლში" - რ. ჩხიკვიშვილი. 21.55 ტელესკოპი. 22.00 ვესტნიკი. 22.20 "ჩვენი ენა ქართული". 22.25 ვიდეოპატრული-02. 22.45 "საქმე". 23.05 "ეპოქა" - ბ. კვერნაძე. 0.20 "ქართული ფილმი" - კ/გაერთიანება "დებიუტი"-20 . დასასრულს - მო-TV.

II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 გოლი. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "ოქროს მართვე". 22.25 მხ.ფ. "მავნე ფრედი". 0.00 ჰიტ-პარადი.

VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "წითელზე გასასვლელი". 13.25 "თიკო ვირტუალურ სამყაროში" (გამეორ.). 18.20 მხ.ფ. "ჩამოსულები". 19.45, 22.20, 2.55 მუსტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "ნილაზი". 22.40 დოკ.ფ. 22.55 მუს.ლაბირინთი. 23.00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: "კაიზერ-სლაუტერნ" - "ფიორენტინა". 1.00 მხ.ფ. "დამნაშავე ექვზარეშე". 2.55 მხ.ფ. "სურვილის შემსრულებელი".

რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ზანზიბარი". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.30 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "მაშველები". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "ცხოვრება ცვალებადია". 23.55 "ორნი". 0.50 მხ.ფ. "ფანტომები". 2.40 კლასიკა.

კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "დილა მშვიდობისა, ვიეტნამო". 0.15 მხ.ფ. 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

მერიდა

11.00 მუს.კოლაჟი. 11.30, 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. "დაკარგული კაპონე". 18.00, 0.00 "სტუდია-25". 18.05, 20.30 მუსიკა. 18.15 სერიალი "არავინ შენს გარდა". 19.00 ექსტრაორდინალური. 20.00 აქტუალური თემა. 21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები. 22.30 "ეს თქვენი უფლებებია". 23.15 მხ.ფ. "განძი".

1ST

8.00 ტონუსი. 10.10, 12.30, 18.55, 22.50, 22.30, 0.45 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "ანგელოზების ქალაქი". 12.40 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტსერიალი. 19.05 მხ.ფ. "პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან". 21.00 მხ.ფ. "მაფიოზი". 22.45 მხ.ფ. "ბოტში". 1.00 მხ.ფ. "სტრიპტიზი". 3.00 ნონ-სტოპი.

საქართველოს ხმა

10.00, 17.10 მულტფილმი. 10.45, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.15, 16.30 მუს.კოლაჟი. 12.45, 15.00, 20.50, 23.30, 1.30 მხ.ფ. 14.15 დოკ.ფ. 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

ОРТ

2307.00 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Поле чудес". 12.15 "Человек и закон". 13.15 Х/Ф "ОДИНОКАЯ ЖЕНЩИНА ЖЕЛАЕТ ПОЗНАКОМИТЬСЯ". 14.50 "Ералаш". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.40 Мультфильм. 16.50 "Звездный час". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 "Мы". 20.55 Сериал "МИСС МАРПЛ". "ТЕЛО В БИБЛИОТЕКЕ". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "В ЗОНЕ ОСОБОГО ВНИМАНИЯ". 00.25 "Взгляд". 01.25 Х/Ф "ГРАЖДАНИН УБЕГАЮЩИЙ". "КАНУН".

РТР

08.00 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 11.10 "МИЛЕДИ". Сериал. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.55 ВЕСТИ. 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 "Моя семья". 14.30, 1.40 "Магазин на диване". 15.30 "АНТОНЕЛЛА". 16.20 "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.10 "Музыка, музыка...". 17.20 "Гомеопатия и здоровье" 17.25 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 18.55 Х/Ф "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ". 19.55, 0.40 Дежурная часть. 20.30 "Почта РТР". 21.45 Х/Ф "НЕЖНЫЙ ОБМАН". 23.35 АКУНА МАТАТА 00.50 "Дежурная часть" 01.25 "Мастер-Ралли-99".

НТВ

08.00 Сегодня утром. 10.10 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20, 19.40, 1.20 Криминал. 11.45 Своя игра. 12.15 Мультфильм. 12.25 Дог-шоу. 13.30 Сериал "ОПЕРАЦИЯ "ТРЕСТ". 15.35 "Добро пожаловать!". 16.20, 0.40 Сегоднячко. 17.30 Сериал "ЗАХВАТЧИКИ". 18.25 Впрок. 18.50 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 20.40 Профессия - репортер. 20.45 Х/Ф "ПРИКЛЮЧЕНИЯ ШЕРЛОКА ХОЛМСА И ДОКТОРА ВАТСОНА". 22.10 Намедни-65. 23.45 Сериал "СОЛДАТЫ УДАЧИ" (США). 01.35 Антропология.

ТВ6

07.55, 14.10 День за днем. 09.40, 19.15, 0.25 Дорожный патруль. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00 ТСН-6. 10.10, 0.50 Те Кто. 10.25 "Звезды о звездах". 10.50, 13.50, 15.55, 16.20 Телемагазин. 11.00 Спартак-чемпион! 11.25, 13.25, 16.10 Мультфильм. 12.10 Скандалы недели. 12.40 Обзор. 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 17.30 Мультсериал. 17.55 Сериал "ГОТОВЫ ИЛИ НЕТ". 18.25, 1.05 Диск-канал. 19.30, 1.35 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II". 19.55 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 21.00 Новости дня. 21.30 "Президентские гонки". 22.25 В мире людей. 22.55 Х/Ф "БЫСТРЕЙ СМЫВАЙСЯ". 00.40 Шесть новостей дня. 02.05 Знак качества.

ТВ-ЦЕНТР

07.50 МИР ВАШЕМУ ДОМУ 10.05 "Легенды спорта". 10.30, 19.15 "Деловая Москва" 10.45 "Доходное место" 10.55, 12.55, 14.55, 16.55, 18.55, 1.50 НОВОСТИ 11.15 "ВИНОВНОСТЬ". Телесериал 12.10, 18.20 "Оставайтесь с нами." 12.25 "Экспедиция". 13.00 Х/Ф "СМЕРТЬ ЗВОНИТ ДВАЖДЫ". 14.40, 00.45 "Петровка, 38" 15.30 Конный спорт. 16.00 "Парус милосердия" 16.25 "Галерея Бориса Ноткина". 17.30 "УБИЙСТВО ПЕРВОЙ СТЕПЕНИ". Телесериал 18.30 Мультсериал (США) 20.55 ВЕЧЕРНИЕ НОВОСТИ 21.30 Х/Ф "СМЕРТЕЛЬНЫЕ ЧУВСТВА". 23.10 ВРЕМЕЧКО 23.45 Сериал "ХОРОШИЕ ПАРНИ, ПЛОХИЕ ПАРНИ". 01.00 ВРЕМЕЧКО. "Ночной полет" 01.55 ИНТЕРНЕТ-КАФЕ

DISCOVERY

19.00 Катастрофы. 19.35 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 В кабине самолета. 21.30, 5.30 Кладоискатели. 22.00 Дикая природа подает сигнал SOS. 22.30 Дикая Африка. 23.30 Знаменитые побеги. 0.00 Новые открытия. 1.00 Одинокая планета. 2.00 Очарование севера. 3.00 Великие полководцы. 4.00 Оружие животных. 5.00 В кабине самолета. 6.00 Загадочная вселенная Артура Кларка.

МИР КИНО

11.35 Х/Ф "ШЕХЕРЕЗАДА". 12.25, 20.10 КиНовости. 12.35 Х/Ф "ВОСЕМЬСОТ ЛЬЕ ПО АМАЗОНКЕ". 14.10 Х/Ф "ПОЗНАКОМЬТЕСЬ С УОЛЛИ СПАРКСОМ". 16.00 Х/Ф "АЛЬБИНО-АЛЛИГАТОР". 17.35 Х/Ф "ПОВОД ДЛЯ ВЕРЫ". 19.25 Х/Ф "ДЕТЕКТИВ НЭШ БРИДЖЕС". 20.20 Х/Ф "МАФИЯ В БЕЛОМ ХАЛАТЕ" . 22.10 Х/Ф "КЛУБ ДЖЕНТЛЬМЕНОВ". 23.35 Х/Ф "ЧЕЛОВЕК-БОМБА". 01.20 Х/Ф "АДСКАЯ МЕСТЬ".

EUROSPORT

10.30 Гольф. Европейский тур. Женщины. Открытый чемпионат Германии. Гамбург. 11.30 Теннис. Турнир WTA в Стэнфорде. США. 13.00 Плавание. Чемпионат Европы. 14.00 Футбол. Легенды европейских чемпионов. 15.00 Картинг. Чемпионат Европы. 16.00 Стрельба из лука. Чемпионат мира. 17.00 Теннис. Чемпионат АТР в Умаге, Хорватия. 18.30 Теннис. Чемпионат АТР в Лос-Анджелесе. США. 20.00 Триатлон. Железный человек в Клагенфурте, Австрия. 21.00 Теннис. АТР Тур - Супердевятка в Монреале, Канада. 23.00 Автогонки. Американская серия Ле Мана в Сирс Пойнт. 0.00 Самый сильный человек. Серия "В полную силу" в Зеефельде, Австрия. 1.00 Футбол. Евроголы. 2.00 Сайдкар. Кубок мира. 2.30 Суперспорт. Чемпионат мира. 3.00 Ралли. Чемпионат мира.

დედა ევიდა, მამა აბესალომი, მეუღლე ლაურა, შვილები აბესალომი, მარიამი, ძმა იური, რძალი ნატო, ძმისწული ანა ხუნწარიები, მამიდები ჯულია, ბაია, ქეთინო, ბიძები დათო, რეზო, ნუგზარი, ბიძაშვილები ანდრო, რემიკო ღვამიჩავები, ნინო ჯულელი, ბიძა მურმან ხუნწარია, ახლო ნათესავები ვიქტორ, ზინა გარტინსკები, ლენა, ვახტანგ სიჭინავები, მედიკო გოგიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ (გუგა) აბესალომის ძე ხუნწარია

პანაშვიდი 1,2 VIII, 5 სთ. გამოსვენება 3 VIII, 4 სთ. ინგურის ქუჩა (დოლიძიდან) სახლი 3, II სადარბაზო.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამინისტროს სამმართველოს უფროსი

გრიგოლ (გუგა) აბესალომის ძე ხუნწარია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

მეზობლები ბელა მაყაშვილი, ეკა მაისურაძე, გური ცქვიტინიძე, ლეიმონ კიბაბიძე, გურამ გალოგრე, ემირ ეზუხბაია, ლავროსი მალანია, ზურაბ ბახტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გუგა ხუნწარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლ. მ. დავითაშვილის სახელობის თბილისის 57-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს მასწავლებელ ქეთევან ყლენტს შვილიშვილის, ამავე სკოლის კურსდამთავრებულის

ქეთევან ზიას ასული ალხაზაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თამუნა, ლამა, ზაზა, ზურიკო, ზვიადი, დავით ნოზაძეები, ნანა ჭანტურია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ქეთი ალხაზაშვილი.

ლალი გვასალია, დათო, ჩიორა, დაჩი თაქთაქიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ქეთი ზიას ასული ალხაზაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

და ქეთო, შვილი ლილი, რძლები ცისანა კორკოტაძე, აგრაფინა გურაბანიძე, შვილიშვილები თამრიკო, სოფიკო სალარეიშვილები, მიშიკო, მერაბი, ირაკლი ჯალაღანიები, დისშვილები იზო, მედიკო, ბადრი ქოიავები, დოდო ჩარგეიშვილი, ძმისშვილი მაგული, სიძეები გიული ჯალაღანია, ჯიმშერ ჩხენკელი, ავთო გელაშვილი, ლიანა, ნუნუ, ვანო უგულავები, ლალი ბარაბაძე, ლადო, თამრიკო გელაშვილები ოჯახებით და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სიმონ მიხეილის ძე სალარეიშვილი

დაკრძალვა 3 VIII, 3 სთ. ხონის რაიონი, სოფ. ნახახულევი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს ბ-ნ ლევან ნიკარაძეს მამის

გივი ნიკარაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.